# საარჩევნო დავების ანგარიში

## საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

# საარჩევნო დავების ანგარიში

## საქართველოს პარლამენტის
## 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

**თბილისი**
**2025**

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
შორენა ლოლაძე

ავტორები: გვანცა ბარბაქაძე
გიორგი გოცირიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

---

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

---

*© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# სარჩევი


შესავალი ..... 5

მეთოდოლოგია ..... 6

1. წინასაარჩევნო დავები ..... 7

1.1. აგიტაცია სოციალური ქსელის მეშვეობით ..... 7

1.1.1. წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო კომისიის წევრთა მონაწილეობა ..... 7

1.1.2. საჯარო მოსამსახურეთა მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში ..... 9

1.2. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა ღონისძიებებზე დასწრების გზით ..... 10

1.3. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ..... 11

1.4. საჩივრის განმხილველ სხდომაზე გამოუცხადებლობა, როგორც პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი ..... 12

1.5. ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა ..... 13

2. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული საარჩევნო დავები ..... 14

3. ხმის ფარულობასთან დაკავშირებული საარჩევნო დავები ..... 18

3.1. ხმის ფარულობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიებში ..... 21

3.2. ხმის ფარულობაზე დავა საერთო სასამართლოების სისტემაში ..... 25

3.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ..... 25

3.2.2. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ..... 36

3.2.3. სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ..... 38

3.2.3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ..... 38

3.2.3.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ..... 41

4. დავა ცესკოს წინააღმდეგ ..... 44

4.1. ცესკოში გამართული სხდომა ..... 44

5. დავა საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმის კანონიერებაზე ..... 46

6. პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების კონსტიტუციური სარჩელების განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში ..... 47

6.1. პრეზიდენტის სარჩელის შინაარსი ..... 47

6.2. პარლამენტის 30 წევრის სარჩელი ..... 49
6.3. საიას სასამართლო მეგობრის მოსაზრება ..... 50
6.4. შემაჯამებელი ოქმების შეჩერების შესაძლებლობა ..... 50
6.5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა
საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნაზე ..... 52
6.6. ხმის მიცემის ფარულობა და საერთო სასამართლოების
მიერ კანონის ნორმატიული შინაარსის დადგენის შესაძლებლობა ..... 53

7. რეკომენდაციები ..... 57

## შესავალი

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა ხმა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მისცა,[1] რაც იმთავითვე მნიშვნელოვან გამოწვევად აღიქმებოდა. სირთულეს განაპირობებდა არა მხოლოდ ტექნოლოგიებისთვის დამახასიათებელი პრობლემური ასპექტები, არამედ ხმის მიცემის ახალი მოდელის ფორმირების კვალდაკვალ ამომრჩევლის ქცევის ცვლილების საჭიროებაც.

საქართველოს პარლამენტის როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით, ამ ორგანოს არჩევნები ქვეყნისთვის არა მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი, არამედ სოციალური მოვლენაცაა.

ანგარიშში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდეგში - საია) აფასებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საარჩევნო დავებს როგორც წინასაარჩევნო, ისე კენჭისყრის დღის და შემდგომ პერიოდში. ანგარიშის პირველი ნაწილი ეთმობა წინასაარჩევნო პერიოდში აგიტაციასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებას. ამ ნაწილში მიმოხილულია ის ძირითადი ტენდენციები თუ არსებითი ხარვეზები, რომლებითაც ხასიათდება მსგავსი შინაარსის დავების განხილვა საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში.

რაც შეეხება არჩევნების შემდეგ პერიოდში წარმოებულ დავებს, ანგარიშში ძირითადად შეფასებულია ფარულობასთან დაკავშირებული დავები და გაანალიზებულია ამ კუთხით საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ასევე, ყურადღება ეთმობა შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული დავების ანალიზსაც.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში შეფასებულია როგორც საიას, ასევე, ნაწილობრივ, სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებული საარჩევნო დავები, რომელთა თაობაზეც შესაბამისი ინფორმაცია/სამართლებრივი დოკუმენტები მოპოვებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან.

ჯამში, გაანალიზდა საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცესკოს 96 გადაწყვეტილება/დადგენილება და საერთო სასამართლოების სისტემაში მიღებული 43 გადაწყვეტილება.

ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებას, თანასწორი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას და არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

[1] 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ფუნქციონირებდა 3111 უბანი. აქედან, დაახლოებით, 75%-ზე - 2263 უბანზე - ამომრჩეველი ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით აძლევდა. ჯამში, ამ უბნებზე ელექტორატის საერთო რაოდენობის, დაახლოებით, 90%-ია რეგისტრირებული.

## მეთოდოლოგია

ანგარიში მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციების (საოლქო საარჩევნო კომისიები, ცესკო), საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე განხილულ საქმეებს. დოკუმენტში არ არის შეფასებული სხვა ორგანოებში (მათ შორის, საგამოძიებო ორგანოებში) მიმდინარე დავები, რომლებიც უკავშირდება 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს და, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს როგორც საარჩევნო პროცესზე, ისე მის შედეგებზე.

ანგარიში მომზადდა სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით:

- კანონმდებლობისა და რელევანტური სტანდარტების ანალიზი - დამუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და სტანდარტები;
- საარჩევნო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ანგარიში ეყრდნობა საიას, სხვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებულ საარჩევნო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების, განკარგულებებისა და განჩინებების ანალიზს;

  გარდა საიას წარმოებაში არსებული საქმეებისა, სხვა სუბიექტების მიერ ინიციირებულ საარჩევნო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების მოძიების მიზნით, გამოყენებულია ცესკოს საარჩევნო დავების ელექტრონული ბაზა;
- საჯარო ინფორმაცია - საიამ ცესკოდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია და ანგარიშში ასახა საკვლევ საკითხებთან დაკავშირებული რელევანტური მონაცემები.

# 1. წინასაარჩევნო დავები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კვლავაც აქტუალური იყო წინასაარჩევნო პერიოდში აგიტაციის მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევები.

გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიები, ისე ცესკო, გვერდს უვლიან საკითხის სიღრმისეულ კვლევას და ეყრდნობიან მხოლოდ წარდგენილ ახსნა-განმარტებებს. გადაწყვეტილებები მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას და სათანადო მსჯელობას, ამასთანავე, მათ აქვს ტენდენციური ხასიათი.

საარჩევნო ადმინისტრაციის მსგავსად, სასამართლო განხილვაც ზედაპირულობით და მტკიცების ტვირთის არათანაბარი გადანაწილებით ხასიათდება.

## 1.1. აგიტაცია სოციალური ქსელის მეშვეობით

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო აგიტაციის წარმოებასა და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ რეგულირებულია. კანონი განსაზღვრავს აგიტაციის შინაარსს,[2] ასევე, ადგენს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრეს. ეს უფლება არ აქვთ საარჩევნო კომისიის წევრებს.[3] აღსანიშნავია, რომ მათ მიმართ ეს აკრძალვა მოქმედებს ზოგადი ფორმით და ვრცელდება როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათებზე.

ამგვარი აკრძალვის ძირითადი მიზანი ნეიტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებაა, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

### 1.1.1. წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო კომისიის წევრთა მონაწილეობა

საარჩევნო ადმინისტრაციასა და საერთო სასამართლოების სისტემაში წარდგენილი იყო არაერთი საჩივარი და სარჩელი, რომლებიც საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან სოციალური ქსელების გამოყენებით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას შეეხებოდა.

საიამ 2024 წლის 17 ოქტომბერს საჩივრით მიმართა N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიას და, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის გამო, ბაღდათის ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების სამი წევრის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოითხოვა. საჩივრის თანახმად, ისინი სოციალურ ქსელში თავიანთი პირადი ანგარიშებით ეწეოდნენ აგიტაციას საარჩევნო სუბიექტ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. საჩივარს, მტკიცებულების სახით, თან ერთოდა ფოტოსურათები.

---

[2] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის ჰ[1] ქვეპუნქტის თანახმად, აგიტაციად მიიჩნევა ამომრჩეველთათვის მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე, ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და, რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

[3] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

სამივე კომისიის წევრმა ოლქში წარადგინა ახსნა-განმარტება ჰომოგენური დასაბუთებით, რომ „ქართული ოცნების“ ბანერების განთავსებისას მათი პირადი გვერდები იყო „გატეხილი“, ამდენად, მათ აგიტაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ ახსნა-განმარტების საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.[4]

მიღებული გადაწყვეტილება საიამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოშიც გაასაჩივრა. განხილვის ფარგლებში ორგანიზაციამ დამატებით წარადგინა მტკიცებულებები კომისიის წევრთა “Facebook”-გვერდებიდან, რომლითაც დგინდებოდა, რომ პირები სადავო პოსტის შემდეგაც შეუფერხებლად იყენებდნენ სოციალურ ქსელებს.

სასამართლომ საიას სარჩელი არ დააკმაყოფილა.[5] მან, ერთი მხრივ, მიუთითა შეჯიბრებითობის პრინციპზე, რომლის თანახმადაც, მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის პროპორციულად ნაწილდება და ამავე კონტექსტში განმარტა, რომ, მიუხედავად Facebook-გვერდიდან წარმოდგენილი ფოტომასალისა, ცალსახად არ დასტურდებოდა, რომ სადავო გამონათქვამები/ფოტოსურათები გამოქვეყნებული იყო კონკრეტულ პირთა მიერ. სასამართლოს განცხადებით, „საჩივრის ავტორმა (საიამ) ვერ წარმოადგინა ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს ყოველგვარ ეჭვს გაუფანტავდა იმის შესახებ, რომ კომისიის წევრთა მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება მათი სოციალური ქსელების პირადი ანგარიშების გატეხის თაობაზე არ შეესაბამებოდა სიმართლეს“.[6]

თუმცა, სასამართლოს არ დაუზუსტებია, შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში რატომ მიიჩნევა სარწმუნოდ ზეპირი ახსნა-განმარტება სხვა მტკიცებულებების საპირწონედ.[7]

აბსტრაქტულ ვერსიაზე დაფუძნებული ახსნა-განმარტების უპირობოდ გაზიარების კიდევ ერთი მაგალითია ცესკოს გადაწყვეტილება „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარზე. საჩივრის თანახმად, ნიუ იორკში შექმნილი N6 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი სოციალურ ქსელ ”Facebook”-ის მეშვეობით აქტიურად ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ. საჩივარს ერთოდა ფოტოც მტკიცებულების სახით.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციის თანახმად, მას არჩევნებთან დაკავშირებით საკმარისი გამოცდილება აქვს და კარგად იცის თავისი უფლება-მოვალეობები. გამოქვეყნებულ პოსტებთან დაკავშირებით კი აღნიშნავს, რომ მას არ უწარმოებია წინასაარჩევნო აგიტაცია.[8] ცესკომ

---

[4] N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება N52/50, 27.10.2024.

[5] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N4/750-24, 6.11.2024.

[6] სხვა საქმეზე, რომელიც ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ სოციალურ ქსელში წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას შეეხებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე N4-8002-24, 01.11.2024) უარი განაცხადა წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე ორ გარემოებაზე მითითებით: საჩივარში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სამართალდარღვევის ჩადენის დრო; საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ მითითებული გვერდი ნამდვილად კომისიის წევრს ეკუთვნის.

[7] მსგავს საქმეზე მცხეთის რაიონულმა სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, მას თავის სოციალურ ქსელში სააგიტაციო პოსტი არ გაუზიარებია, შესაბამისად, მტკიცებულების სახით წარდგენილი ეკრანის ანაბეჭდის ავთენტურობა და ვალიდურობა სადავო იყო. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N4-ა/839-2024, 22.10.2024.

[8] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და საიას მიერ კიდევ ერთი მსგავსი შინაარსის საჩივარი იყო წარდგენილი, რომელიც ნიუ იორკის მე-6 საარჩევნო უბნის კომისიის წევრის

მხოლოდ ამ განმარტებაზე დაყრდნობით, ისე, რომ მხედველობაში არ მიუღია წარდგენილი მტკიცებულებები, უარი განაცხადა კომისიის წევრის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

### 1.1.2. საჯარო მოსამსახურეთა მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში

საჯარო მოსამსახურეებს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ სამუშაო საათების ან/და უშუალოდ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში.[9] ეს აკრძალვა ასევე ეხებათ საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებს (გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო, სახელოვნებო დაწესებულებებისა, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა), სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს.[10]

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლის მიერ ამგვარი რეგულაციის შემოღების ძირითადი მიზანი საჯარო სამსახურების პოლიტიკურად ნეიტრალურ ინსტიტუციებად ჩამოყალიბება იყო.

წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან აგიტაციაში მონაწილეობის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, 2024 წლის 11 ოქტომბერს საიამ საჩივრით მიმართა №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიას. საჩივარი შეეხებოდა თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ის მეშვეობით სამუშაო საათებში მმართველი პარტიის მხარდამჭერი პოსტის გაზიარებას, რომელშიც ასევე მითითებული იყო „ქართული ოცნების“ პარტიული ნომერი.

მერის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ საჩივარში მოხსენიებულ დროს ის იმყოფებოდა სამსახურში, სადაც კომპიუტერებზე დაბლოკილია სოციალური ქსელები. ასევე, მისი "Facebook"-გვერდი მუდმივად ჩართულია მის საცხოვრებელ სახლში არსებულ კომპიუტერში, რომლითაც სარგებლობენ ოჯახის სხვა წევრებიც (ამ შემთხვევაში - მეუღლე), შესაბამისად, საჩივარში ხსენებული ფოტო მას არ გაუზიარებია. იგი იქვე აღნიშნავს, რომ არც სამსახურებრივ და არც თავისუფალ დროს პარტიულ პოსტებს არ აზიარებს, რადგან კარგად იცნობს საარჩევნო კოდექსს.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ამ შემთხვევაშიც საკმარისად მიიჩნია პირის ახსნა-განმარტება[11] და უარი თქვა საიას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.[12]

კიდევ ერთ საქმეზე საჩივრის ავტორი ითხოვდა პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას Facebook-ზე წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველი პოლიტიკური ვიდეორგოლის გაზიარების გამო.[13] პირმა დაადასტურა, რომ იგი სარგებლობდა თავისი

---

მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას ეხებოდა. საჩივრის დაკმაყოფილებაზე ცესკომ უარი განაცხადა ანალოგიური არგუმენტით. ცესკოს გადაწყვეტილება N01-02/1964, 29/10/2024.

[9] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

[10] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

[11] N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება N17/36, 21.10.2024.

[12] მსგავსი საქმეები მრავლად გვხვდება, მაგალითად, გადაწყვეტილებები „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივრებზე: N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის N17/37, 23.10.2024 და N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის N49/53, 28.10.2024.

[13] „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარზე N65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 65/40, 28.10.2024.

პირადი "Facebook" გვერდით, თუმცა, მას ამისთვის არც სახელმწიფო და არც მუნიციპალური რესურსი არ გამოუყენებია, არამედ ყველა მასალა განათავსა საკუთარი ინტერნეტრესურსით.[14]

საოლქო საარჩევნო კომისიამ ამ საკითხის შეფასებისას განმარტა, რომ „სოციალური მედიის გამოყენების კუთხით, აკრძალულია მხოლოდ შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულებების ოფიციალური ვებგვერდის ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედიის გამოყენება, და არა პირად სოციალურ გვერდზე განხორციელებული ქმედება/აქტივობა".[15]

შესაბამისად, კომისიის პრაქტიკით, სოციალურ ქსელში პირადი რესურსით რომელიმე სუბიექტის სასარგებლო ან საწინააღმდეგო ინფორმაციის განთავსება, გაზიარება ან მოწონება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არ ფასდება.[16]

აღსანიშნავია, რომ ამ განმარტებით საარჩევნო ადმინისტრაციამ ერთმანეთს გაუთანაბრა წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრე, რითაც აზრი დაუკარგა საჯარო მოსამსახურეების მიერ სამუშაო დროს ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემზღუდველ კანონმდებლობას.

როგორც აღინიშნა, საჯარო მოსამსახურეებისთვის საქმიანობის განხორციელების პერიოდში შესაბამისი აკრძალვის დადგენის მიზანი საჯარო სამსახურის ნეიტრალურ ინსტიტუტად ფორმირებაა. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი პრაქტიკა კი აზიანებს როგორც საჯარო სამსახურის ნეიტრალიტეტს, ისე, ზოგადად, საარჩევნო სისტემას.

### 1.2. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა ღონისძიებებზე დასწრების გზით

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა აგიტაციის არაერთი შემთხვევა ღონისძიებებზე დასწრების გზით. ამ კუთხით, გამორჩეული იყო ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება.[17] კომისიაში წარდგენილი საჩივრის თანახმად, 2024 წლის 15 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდეგში - სემეკი) თავმჯდომარე, რითაც, საჩივრის ავტორის მითითებით, დაირღვა

[14] მსგავსი არგუმენტაციით „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" მიერ წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს N28 დუშეთის (გადაწყვეტილება N28/48, 03.11.2024) და N29 ყაზბეგის (გადაწყვეტილება N29/16, 28.10.2024) საოლქო საარჩევნო კომისიებმა.

[15] აღსანიშნავია, რომ მსგავს დასაბუთებას წინა წლების არჩევნების ფარგლებშიც ვაწყდებით, დეტალურად იხ. საიას ანგარიში „საარჩევნო დავების ანალიზი" (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, პირველი და მეორე ტური), ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/საარჩევნო%20დავების%20ანალიზი.pdf_01722854919.pdf, ნანახია: 25.02.2025.

[16] მსგავს საქმეებზე „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" მიერ წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილებაზე ანალოგიური არგუმენტაციით განაცხადეს უარი N65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიამ (გადაწყვეტილება N65/41, 28.10.2024) და N18 ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიამ (გადაწყვეტილება N18/24, 22.10.2024წ).

[17] „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება N67/63, 27.10.2024.

კანონმდებლობა.[18] საჩივარს თან ერთოდა შესაბამისი ვიდეომტკიცებულებებიც.

ოლქის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, მათ შეისწავლეს საჩივარზე თანდართული ბმული და დაადგინეს, რომ სემეკის თავმჯდომარის მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და მასში მონაწილეობის ფაქტები არ იკვეთება.

თავის მხრივ, სემეკის თავმჯდომარემ თავის ახსნა-განმარტებაში აღიარა ღონისძიებაზე დასწრების ფაქტი, თუმცა, აღნიშნა, რომ შეხვედრაზე მივიდა როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ მიუღია. საოლქო საარჩევნო კომისიამ გაიზიარა ეს არგუმენტაცია და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

კომისიის მსჯელობა მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს დასაბუთების სტანდარტს, მით უფრო, რომ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული აგიტაციის დეფინიცია მოიცავს და აგიტაციად აკვალიფიცირებს ნებისმიერ საჯარო ქმედებას, რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას,[19] რაც, მოცემულ შემთხვევაში, ცალსახად დადასტურებული იყო.[20]

### 1.3. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

2024 წლის პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთი შემთხვევა, რომელთა განხილვის დროსაც საოლქო საარჩევნო კომისიები, ძირითადად, წარდგენილ ახსნა-განმარტებებს ეყრდნობოდნენ, შესაბამისად, არ ხდებოდა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება.

მაგალითად, გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას მიერ წარდგენილი საჩივრის თანახმად, 2024 წლის ოქტომბერში გარდაბნის მუნიციპალიტეტში პედაგოგების დღე, 27 ოქტომბრის ნაცვლად, 19 ოქტომბერს აღინიშნა. ღონისძიებაზე შეკრებილ პედაგოგებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისგან სიმბოლური საჩუქრები და ე.წ. სამახსოვრო ბარათები გადაეცათ, რომლებზეც მილოცვის ტექსტი პარტია „ქართული ოცნების“ პარტიულ ნომერთან ერთად იყო დატანილი. საიას მითითებით, ბარათზე ნომერი იმავე ფორმით იყო წარმოდგენილი, როგორც პარტიის სარეკლამო ბანერებსა თუ ვიდეოკლიპებშია. პედაგოგებს პროფესიული დღე ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორმა, ასევე, საქართველოს პარლამენტის მოქმედმა დეპუტატმა (საჩივრის შეტანის დროისთვის) და „ქართული ოცნების“ პარტიული სიის წევრებმა მიულოცეს. ღონისძიებას სოციალურ ქსელში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიც გამოეხმაურა.

საიას პოზიციით, ეს ფაქტი უნდა შეფასებულიყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად. გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი განაცხადა საჩივრის

[18] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

[19] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ[1]“ ქვეპუნქტი.

[20] სხვა საქმეზე, რომელიც საარჩევნო სუბიექტის მიერ ამომრჩევლებთან გამართულ სააგიტაციო შეხვედრაზე საარჩევნო კომისიის წევრის დასწრებას ეხებოდა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკმარის წინაპირობად ზუგდიდის საოლქო კომისიამ მიიჩნია პირის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც, კომისიის წევრი არ იყო ინფორმირებული, რომ იმ ადგილზე შეხვედრა იმართებოდა, იგი რამდენიმე წუთით გამოელაპარაკა ნაცნობს და ტერიტორია მალევე დატოვა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარზე №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება N67/61, 25.10.2024.

დაკმაყოფილებაზე,[21] საფუძვლად კი მუნიციპალიტეტის მერიის პასუხი მიუთითა, რომლის მიხედვითაც, გამართული ღონისძიება არ ყოფილა დაგეგმილი/გამართული მერიის მიერ და მისი ორგანიზება არ მომხდარა სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით, მათ შორის, არც დამსწრე საზოგადოებისთვის გადაცემული სიმბოლური საჩუქრები და ე.წ. სამახსოვრო ბარათები შეუძენიათ საბიუჯეტო სახსრებით.[22]

### 1.4. საჩივრის განმხილველ სხდომაზე გამოუცხადებლობა, როგორც პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი

საქმეების განხილვის ტენდენციურ ბუნებასა და მტკიცების დაბალ სტანდარტზე მიუთითებს რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც.[23] კომისიას საიამ საჩივრით N25 საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მიმართა. საჩივარში ორგანიზაცია განმარტავდა, რომ ბაღის ხელმძღვანელი თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს აიძულებდა, მონაწილეობა მიეღოთ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ წინასაარჩევნო ღონისძიებაში.

საია საჩივარში ასევე მიუთითებდა, რომ ხსენებული პირი შეურაცხყოფას აყენებდა თანამშრომლებს, დამატებით ავალებდა ღონისძიებაზე წამსვლელ პირთა მოძიებას და სიების გადაგზავნას. ეს ქმედება, ერთი მხრივ, უკანონო აგიტაციაა, ხოლო, მეორე მხრივ, თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, დაქვემდებარებულ პირთა იძულება, რაც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა. ჩანაწერი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, ასევე იძლეოდა იმის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რომ აგიტაცია ხორციელდებოდა სამუშაო საათებში.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი საჩივრით, მათ შორის, მოთხოვნილი იყო მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა, ბაღში მომუშავე იმ თანამშრომლების გამოკითხვა, რომელთა ვინაობაც დასახელებულია ჩანაწერში. რუსთავის საოლქო კომისიის პასუხის თანახმად, მათი იურისტი რამდენჯერმე ტელეფონით დაუკავშირდა ბაგა-ბაღის გამგეს, შემოსული საჩივრის თაობაზე აცნობა და სთხოვა, განმარტებისთვის კომისიაში მისულიყო. მან ამაზე უარი განაცხადა, ხოლო ტელეფონით რაიმეს ახსნას არ დასთანხმდა.

ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იცნობს ბაგა-ბაღის გამგეს, იმავდროულად, მოკლებულია პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ამდენად, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

[21] N20 რუსთავის საოლქო კომისიის გადაწყვეტილება N21/35, 02.11.2024.

[22] საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებების უპირობოდ გაზიარების მაგალითია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საჩივარზე ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება N81/62, 26/10/2024; ასევე, საიას საჩივარზე N38 ადიგენის საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება N8/37, 02.11.2024.

[23] გადაწყვეტილება N20/130, 03.11.2024.

### 1.5. ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა

საინტერესოა იმგვარი შემთხვევებიც, როცა სასამართლომ დარღვევა დადგენილად მიიჩნია, თუმცა (მათ შორის), ქმედების მცირე მნიშვნელობის საფუძვლით, პირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. ხობის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად,[24] ხობის საოლქო კომისიის მიერ 24 ოქტომბერს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი, სოციალური ქსელის მეშვეობით, სამუშაო საათებში, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას - მან გააზიარა პარტიის მხარდამჭერი კონცერტის პოსტი.

პირი დაეთანხმა ოქმებში მითითებულ გარემოებებს და ითხოვა პატიება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სამართალდარღვევის ჩადენა, და განმარტა, რომ, ერთი მხრივ, ეს იყო მცირე მნიშვნელობის გადაცდომა, ამასთანავე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო მხარის ,,გულწრფელი მონანიება“, ასევე ის, რომ წარსულში იგი არ ყოფილა ადმინისტრაციულ სახდელდადებული, შესაბამისად, გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა.[25]

[24] საქმე N4/150-2024, 30.10.2024.

[25] მსგავს საქმეზე, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მიერ სამუშაო საათებში პარტია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ სოციალურ ქსელში აგიტაციის წარმოებას მიემართებოდა, ხობის მაგისტრატმა სასამართლომ ასევე გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა, საქმე N4/149-2024, 30.10.2024; სხვა საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ქალაქ ბათუმის N79 ოლქის 25-ე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი - იგი ესწრებოდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სააგიტაციო ღონისძიებას. პირმა აღიარა ხსენებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ქმედების მცირე მნიშვნელობის საფუძვლით, სასამართლომ მას სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა. ბათუმის საქალაქო სასამართლო, საქმე N4/1779-24, 17.10.2024.

## 2. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული საარჩევნო დავები

შემაჯამებელი ოქმი კენჭისყრის და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი აქტია,[26] შესაბამისად, ამ დოკუმენტში მონაცემების სწორად ასახვა არჩევნების ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

წინა არჩევნების მსგავსად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც, დისბალანსისა და სხვა ტიპის დარღვევების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და საერთო სასამართლოებში არაერთი საჩივარი და სარჩელი შევიდა. აღსანიშნავია, რომ იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, გამოიკვეთა ახალი ტიპის დარღვევებიც. ზოგ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მითითებული ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა აღემატებოდა ამავე საარჩევნო უბნების სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში (წინასწარი შედეგების ამონაწერი) მითითებულ ბიულეტენების საერთო რაოდენობას[27] ან/და კონსოლიდირებულ ანგარიშში ასახული საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ან/და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა არ ემთხვეოდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესაბამის მონაცემებს.[28]

ანგარიშის ამ ნაწილში ყურადღება, ძირითადად, სწორედ ამ საკითხებზეა გამახვილებული.

საიას მიერ ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივრის თანახმად, ოლქში შემავალი ათი საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში (წინასწარი შედეგების ამონაწერში) მითითებული ერთ ან რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ბიულეტენების რაოდენობა მეტია ან ნაკლებია საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში ასახული ერთი ან რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებულ ხმებზე.

ამავე უბნებზე სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში მითითებული ბათილი ბიულეტენების რაოდენობა მეტია ან ნაკლებია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში ასახულ ბათილ ბიულეტენებზე.

საჩივრით მოთხოვნილი იყო საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობა, ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლა, ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიების პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

---

[26] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[27] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 76[6]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრთაგან ერთ-ერთს დაავალებს, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდოს საბოლოო ანგარიში.

[28] აღსანიშნავია, რომ იმ უბნებზე, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აისახებოდა არა აპარატის მიერ დათვლილი, არამედ მთვლელების მიერ აღრიცხული მონაცემები. ამგვარი რეგულირება ნაკარნახევია იმით, რომ ტექნოლოგიების მეშვეობით არჩევნები (ამ მასშტაბით) 2024 წელს პირველად ჩატარდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც ელექტრონული მოწყობილობების, ისე კომისიის წევრების მიერ ბიულეტენების ბათილობის/ნამდვილობის დასადგენად კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთნაირი კრიტერიუმი გამოიყენებოდა.

კომისიამ უარი განაცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე[29] იმ დასაბუთებით, რომ, არსებული პროცედურით, მხოლოდ მთვლელების მიერ ბიულეტენების დათვლის შემდეგ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში აისახება საუბნო საარჩევნო კომისიის იურიდიული ძალის მქონე შედეგები.

კომისიამ დამატებით მიუთითა, რომ მთვლელების მიერ, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ბიულეტენების ხელით გადათვლის შემდეგ დაზუსტდა სადავო უბნებზე საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების ნამდვილობა, რაც კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმშიც აისახა.[30]

ამდენად, გარდა მხოლოდ ფორმალური მითითებისა, რომ მთვლელების მიერ ხელით გადათვლილი მონაცემია იურიდიული ძალის მქონე, საოლქო საარჩევნო კომისია უფრო ღრმა შინაარსობრივ მსჯელობაში არ შესულა. შესაბამისად, არც კი დაინტერესებულა, რას შეიძლებოდა გამოეწვია ამგვარი ცდომილება მაშინ, როცა ხმის მთვლელი აპარატი და ხმის მთვლელები ერთი და იმავე ინსტრუქციით ხელმძღვანელობენ.

ამავე კონტექსტში საინტერესო იყო მსგავს საქმეზე გორის რაიონული სასამართლოს მსჯელობა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ გორის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივრების თანახმად, გორის საარჩევნო ოლქში შემავალი თხუთმეტი უბნის წინასწარი შედეგების მონაცემები განსხვავდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში არსებული მონაცემებისგან - სხვადასხვა იყო ბათილი ბიულეტენებისა და სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ორგანიზაცია შედეგების ხელახლა გადათვლას და დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივრები არ დააკმაყოფილა. მან ძირითად არგუმენტად, ორგანიზაციის დამკვირვებლის მიერ კენჭისყრის დღეს უბანზე საჩივრის წარუდგენლობის გარდა, მიუთითა, რომ მხოლოდ მთვლელების მიერ ბიულეტენების დათვლის შემდეგ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში აისახება საუბნო საარჩევნო კომისიის იურიდიული ძალის მქონე შედეგები. სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ოლქის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა.

გორის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.[31] მისი განმარტებით, დადგენილია, რომ სპეციალური ელექტრონული აპარატი ითვლის წინასწარ მონაცემებს და აპარატიდან იბეჭდება შესაბამისი ამონაწერი. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველი საარჩევნო უბნების წინასწარი შედეგებისა და მთვლელების მიერ დათვლილი ბათილი ბიულეტენების მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ, არსებული პროცედურის თანახმად, სპეციალური ელექტრონული აპარატი ხმებს, შესაბამისად, ბათილ და ნამდვილ საარჩევნო ბიულეტენებს ითვლის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის მიხედვით: ნამდვილია მხოლოდ ის ბიულეტენი, რომელზეც გაფერადებულია ან/და მონიშნულია მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე.

[29] N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N92/2024, 31.10.2024.

[30] ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ მსგავსი დასაბუთებით განაცხადა უარი საიას კიდევ ერთი საჩივრის დაკმაყოფილებაზე, N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N22/2024, 31.10.2024.

[31] გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/254-24, 4/11/2024.

სასამართლომ მიუთითა, რომ საარჩევნო ბიულეტენების დათვლისას კანონის მოთხოვნებით უნდა იხელმძღვანელონ მთვლელებმაც. აქედან გამომდინარე, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, კანონმდებლობით დადგენილი ერთნაირი მოთხოვნების პირობებში რატომ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან აპარატის და მთვლელების მიერ აღრიცხული ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე, რა საფუძვლით მიიჩნიეს მთვლელებმა ბათილი საარჩევნო ბიულეტენები ნამდვილად.

სასამართლოს შეფასებით, ეს ფაქტობრივი გარემოებები გორის საოლქო საარჩევნო კომისიამ არ გამოიკვლია და, უკიდურესად ფორმალური საფუძვლის მითითებით, მოსარჩელის საჩივრები არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, სასამართლომ კომისიას 15 საარჩევნო უბნის ბათილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლა დაავალა.

ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა.[32]

კიდევ ერთ საქმეზე, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივრის თანახმად, ოქმში გამოვლინდა დისბალანსი, ორ უბანზე შემაჯამებელი ოქმებისა და წინასწარი შედეგების ელექტრონული ქვითრის მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ასევე ოქმებში შეტანილი იყო ცვლილებები ისე, რომ თან არ ერთოდა შესწორების ოქმები. გარდა ამისა, ოქმები დადასტურებული არ იყო ბეჭდით. წარდგენილი საჩივრები არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა სასამართლოში.

საოლქო საარჩევნო კომისია განმარტავდა, რომ ერთ შემთხვევაში ცდომილება გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით, ასევე, სხვა უბნის მონაცემებში კი ამის მიზეზი გახდა გადასატან ყუთში აღმოჩენილი სველი ბიულეტენი, რომელიც აპარატმა არ მიიღო, თუმცა ის ხმის დათვლის პროცესში გაითვალისწინეს. ორ შემთხვევაში, აღინიშნა, რომ უბნის კომისიის მდივნის მიმართ მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება (ერთ-ერთი მათგანის მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობა, მეორეზე კი მიმდინარეობდა წარმოება საქმის განხილვისას).

სასამართლომ მოიშველია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის „დ[3]“ პუნქტი, რომლითაც დადგენილია საოლქო საარჩევნო კომისიის ვალდებულება, გადათვალოს შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობისა და საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი 5-ით ან 5-ზე მეტით აღემატება საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას.

სასამართლომ განმარტა, რომ შემაჯამებელი ოქმის მონაცემების უზუსტობამ მათი ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს იმგვარი დარღვევებისას, როცა ეს მონაცემები ასახავს არა რეალურ ვითარებას, არამედ მიზნად ისახავს შედეგების შეცვლას. ამ დასაბუთებაზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო უბნის შედეგების შემაჯამებელ ოქმში არსებული დარღვევების ხასიათი არ არის იმ მასშტაბის, რომ საჭირო იყოს  ბიულეტენების გადათვლა.[33]

სხვა სიტყვებით, სასამართლომ იმგვარი შემთხვევები, რომლებიც კანონმდებლობით პირდაპირ არ არის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების

[32] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ბ/3321-24, 6/11/2024.
[33] ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-175/24, 3/11/2024.

გადათვლის საფუძველი, ამ უკანასკნელთა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოაქცია[34] და ამ პროცესიდან მისი, როგორც სამართალშემფარდებლის როლი გამორიცხა.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიებით ამ მასშტაბის არჩევნების ჩატარებისას საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება და, მონაცემების დაზუსტების მიზნით, გადაეთვალათ შედეგები, რათა ცდომილების მიზეზები გამოვლენილიყო. ეს ასევე გაფანტავდა ეჭვებს ხმის მთვლელი აპარატის სანდოობის თაობაზე, ხოლო კომისიას, საარჩევნო სუბიექტებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მისცემდა შესაძლებლობას, გამოევლინათ ხარვეზები, რომლებიც მომავალი არჩევნებისას უნდა აღმოიფხვრას.

[34] მსგავსი დასაბუთებაა მოცემული ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმე N3/191-24, 4/11/2024.

## 3. ხმის ფარულობასთან დაკავშირებული საარჩევნო დავები

**ხმის ფარულობაზე დავის ქრონოლოგია[35]**

პირველ ეტაპზე, 2024 წლის 29 ოქტომბერს, საჩივრები წარედგინა საოლქო საარჩევნო კომისიებს, იმ უბნების შედეგებისა და მათთან დაკავშირებული შემაჯამებელი ოქმების ბათილობის მოთხოვნით, სადაც არჩევნები ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ჩატარდა. წარდგენილი 73 საჩივრიდან საოლქო საარჩევნო კომისიებმა არცერთი მათგანი არ დააკმაყოფილეს.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები/განკარგულებები გასაჩივრდა საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში (ჯამში 24 სასამართლოში). საქმის განმხილველი 23 მოსამართლიდან მხოლოდ ერთმა, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუამ დააკმაყოფილა საიას მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები.[36]

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრდა თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში, რომლებმაც წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს.[37] თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი თბილისის სააპელაციო სასამართლომ წალკისა და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიების საჩივრების საფუძველზე გააუქმა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო დავებზე სააპელაციო სასამართლო საკითხის განმხილველი ბოლო ინსტანციაა.

სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს შემაჯამებელი ოქმები, რაც საიამ ცესკოში გაასაჩივრა.[38] 2024 წლის 10 ნოემბერს, მრავალსაათიანი განხილვის შემდეგ, ცესკომ უარი განაცხადა წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

ცესკოს მიერ მიღებული განკარგულება, თავის მხრივ, გასაჩივრდა ჯერ თბილისის საქალაქო, ხოლო შემდეგ სააპელაციო სასამართლოებში. ორივე ინსტანციამ უარი განაცხადა წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილებაზე, ამდენად, განკარგულება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმისწარმოება 2024 წლის 15 ნოემბერს დაასრულა. ამის შემდგომ, ამავე წლის 16 ნოემბერს, ცესკომ მიიღო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი,[39] რომელიც ასევე გასაჩივრდა ჯერ საქალაქო, ხოლო

---

[35] ხმის ფარულობაზე დავა სხვადასხვა ეტაპზე, საიას გარდა, აწარმოვეს სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა და მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებებმაც. როგორც აღინიშნა, ნაწილობრივ, მათ მიმართ დამდგარი შედეგებიც იქნება მიმოხილული ანგარიშში, თუმცა, დავის ქრონოლოგიის ფარგლებში, ზოგადი ფორმით, მოცემულია მხოლოდ საიას მიერ განვლილი გზა, ვინაიდან საიამ სრული მოცულობით გამოიყენა ამ ტიპის დავისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა მექანიზმი.

[36] საქმის განმხილველმა მოსამართლემ, ვლადიმერ ხუჭუამ საქმისწარმოებისას გააერთიანა საიას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ მიერ წარდგენილი სარჩელები. მიღებული გადაწყვეტილებით, ყველა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

[37] როგორც თბილისის, ისე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააერთიანა საიასა და სხვა სუბიექტების მიერ წარდგენილი საჩივრები. ქუთაისში საქმეები - 2, ხოლო თბილისში ერთ წარმოებად დაჯგუფდა.

[38] ცესკოში, ისევე, როგორც სასამართლოში, საიას მიერ წარდგენილ საჩივართან ერთად განიხილებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების - „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობისა“ და „ლელო - ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ საჩივრები.

[39] არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი სასამართლოში, საიას გარდა, ასევე გაასაჩივრეს მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა: „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, „გახარია საქართველოსთვის“ და „ლელო - ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“.

შემდეგ სააპელაციო სასამართლოებში. სარჩელები არც ამ შემთხვევებში დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი, რომელიც შეეხებოდა საქმის განხილვისას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც წარდგენილი საჩივარი განუხილველად დატოვა.

ხმის ფარულობასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო დავები ანგარიშში სწორედ ამ თანმიმდევრობითაა განხილული.

**ფარულობის დარღვევის პრობლემა 2024 წლის არჩევნებზე**

29 ოქტომბერს  საიამ საოლქო საარჩევნო კომისიებში წარადგინა საჩივრები, რომლითაც ითხოვდა შესაბამის ოლქებში შემავალი ყველა იმ უბნის (2263) შედეგების ბათილად ცნობას, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.

საიას მიერ წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილება გამოიწვევდა ხელახალი არჩევნების ჩატარებას, რადგან ტექნოლოგიური უბნების შედეგების ბათილობა არსებით გავლენას ახდენდა არჩევნების შედეგზე.

საია დავობდა, რომ კენჭისყრის დღეს მასობრივად დაირღვა ამომრჩევლის ხმის ფარულობის პრინციპი, რაც არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საარჩევნო უფლებას.

ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო კონსტიტუციური უფლების[40] ძირეული კომპონენტია, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, უფლების დაცულობის მასშტაბი ფიქციური ხდება. ეს გარანტია, მათ შორის, იცავს საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს,[41] როგორიცაა უფლების განხორციელების ინსტრუმენტული საშუალებები: ბიულეტენი და საარჩევნო ყუთი. ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ხმის მიცემის აბსოლუტური ფარულობა დაცული უნდა იყოს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის, ბიულეტენის მოთავსების მომენტში.[42]

ფარულობის პრინციპის დაუცველობა ასევე არღვევს ევროპულ კონვენციას, რომლის თანახმადაც, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით, ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას“.[43] ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ეს მუხლი კონვენციისა და დამატებითი ოქმების სხვა ფუნდამენტური უფლებებისგან განსხვავდება იმით, რომ აწესრიგებს მაღალი

[40] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24.

[41] შდრ. CCPR General Comment No. 25: Article 25 (Participation in Public Affairs and the Right to Vote), The Right to Participate in Public Affairs, Voting Rights and the Right of Equal Access to Public Service Adopted at the Fifty-seventh Session of the Human Rights Committee, on 12 July 19961, CCPR/C/21/Rev.1/Add.7, General Comment No. 25. (General Comments), par. 20.

[42] Existing Commitments for Democratic Elections in OSCE Participating States, OSCE/ODIHR, 2003, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/0/d/13956.pdf.

[43] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს), პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებას, ჩაატაროს ისეთი არჩევნები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების მიერ ნების თავისუფლად გამოხატვას.[44]

მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას ნათლად მიუთითებდა ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველსაყოფად ყველა აუცილებელი ზომის მიღების საჭიროებაზე. მიუხედავად ამისა, ამ უფლების დაცვა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ უზრუნველყო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს. „ქართული ოცნების" მიერ საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგ შემთხვევაში კი - ხმის მიცემის კაბინებს და ძირითად საარჩევნო ყუთს. ბიულეტენების ხარისხი ვერ უზრუნველყოფდა, რომ მის უკანა მხარეს არ დაეტოვებინა გაფერადებული წრის კვალი. ამ ორი მოცემულობის თანხვედრა ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების მაღალ რისკებს ადასტურებს, არღვევს ხმის ფარულობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ ხმის ფარულობის დარღვევის რისკები საიამ არჩევნებამდე, ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე აღმოაჩინა და საარჩევნო ადმინისტრაციას წინასწარ მიმართა, რათა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ზომები მიეღოთ. 2024 წლის 28 სექტემბრის №01-01/1607 წერილით საიას ეცნობა, რომ ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი იყო სატესტო ვერსია, ხოლო კენჭისყრის დღეს გამოყენებული ბიულეტენის ხარისხი იქნებოდა განსხვავებული, რაც უზრუნველყოფდა ფარულობის დაცვას. თუმცა, ეს პირობა ვერ შესრულდა.

ხმის ფარულობის დარღვევის მასშტაბების და სისტემურობის გათვალისწინებით, საიამ ამ ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა პროკურატურასაც.[45]

[44] European Court of Human Rights, Guide on Article 3 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights, Right to free elections, 29.02.2024, §11, ხელმისაწვდომია: https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/guide_art_3_protocol_1_eng.

[45] „საია ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის გამო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული ყველა უბნის (2263 უბანი) შედეგების ბათილად ცნობას ითხოვს", ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/GYLA-gancxadeba-30octomberi.

### 3.1. ხმის ფარულობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიებში

საიას მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი ერთგვაროვანი საჩივრების თანახმად, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე გამოყენებული ბიულეტენი და მარკერი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნება ხილული არ გამხდარიყო ფურცლის მეორე მხარეს. ხმის ფარულობის დაცვისთვის ერთგვარი დამზღვევი მექანიზმის როლი, გადმობრუნებულ ბიულეტენთან ერთად, ე.წ. ჩარჩო-კონვერტს უნდა ეტვირთა. თუმცა, როგორც გამოიკვეთა, ჩარჩო-კონვერტის ზომა, ცესკოს მიერ გაცემული ინსტრუქციის ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაშიც კი, ვერ იძლეოდა ხმის ფარულობის გარანტიას - ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსებისას მისი უკანა მხარე ნაწილ-ნაწილ ხდებოდა ხილული, რაც მესამე პირების მხრიდან ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლეოდა.

ამასთანავე, საარჩევნო უბნების გახსნისთანავე უბნებზე მასობრივად განთავსდა პარტია „ქართული ოცნების“ ვიდეოკამერები, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, უყურებდა რეგისტრატორების მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგ შემთხვევაში კი - ხმის მიცემის კაბინებს და ძირითად საარჩევნო ყუთს. საიას მოსაზრებით, ამ გარემოებათა ერთობლიობამ, საერთო ჯამში, ხმის ფარულობის უფლების დაცვას საფუძველი გამოაცალა.[46]

მოცემულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საია ყველა იმ უბნის შედეგებისა და მათთან დაკავშირებული შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობას ითხოვდა, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა. თითქმის

[46] აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დასაბუთება იყო საიას არგუმენტაციის ძირითადი ბირთვი როგორც საოლქო საარჩევნო კომისიებში, ისე ცესკოსა და საერთო სასამართლოებში მიმდინარე განხილვებისას. არსობრივად მსგავსია სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების არგუმენტაციაც ხმის ფარულობის უფლების დარღვევაზე როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ, საიასგან განსხვავებით, სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციები ასაჩივრებდნენ არა კონკრეტულ ოლქებში შემავალი ყველა ელექტრონული საარჩევნო უბნის, არამედ ცალკეული საარჩევნო უბნების შედეგებს. ამასთანავე, საჩივრებში/სარჩელებში, ფარულობასთან ერთად, ყურადღება გამახვილებული იყო სხვა სახის პროცედურულ დარღვევებზეც, თუმცა ამ ანგარიშში, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად, მხოლოდ ხმის ფარულობასა და ამ საკითხთან დაკავშირებულ განხილვაზეა საუბარი.

ყველა საარჩევნო ოლქმა,[47] რომელმაც საკითხზე შინაარსობრივად იმსჯელა,[48] მიიღო არსებითად იდენტური განკარგულებები.[49] შესაბამისად, ანგარიშის მომდევნო

[47] N63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N22/2024, 31.10.2024. N44 ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N21/2024, 31.10.2024. N40 ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N24/2024, 31.10.2024. N38 ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N21/2024, 31.10.2024. N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N24/2024, 31.10.2024. N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N31/2024, 31.10.2024. N18 ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N26/2024, 31.10.2024. N23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N33/2024, 31.10.2024. N36 ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N27/2024, 31.10.2024. N21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N59/2024, 31.10.2024. N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N45/2024, 31.10.2024. N12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N25/2024, 31.10.2024. N14 დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N34/2024, 31.10.2024. N8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N33/2024, 31.10.2024. N24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N37/2024, 31.10.2024. N28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N73/2024, 31.10.2024. N53 ვანის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N20/2024, 31.10.2024. N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N27/2024, 31.10.2024. N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N21/2024, 31.10.2024. N19 თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N31/2024, 31.10.2024. N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N98/2024, 31.10.2024. N30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N37/2024, 31.10.2024. N4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N44/2024, 31.10.2024. N15 ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N30/2024, 31.10.2024. N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N24/2024, 31.10.2024. N46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N15/2024, 31.10.2024. N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N74/2024, 31.10.2024. N65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N37/2024, 31.10.2024. N47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N22/2024, 31.10.2024. N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N34/2024, 31.10.2024. N27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N48/2024, 31.10.2024. N9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N83/2024, 31.10.2024. N41 ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N14/2024, 31.10.2024. N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N68/2024, 31.10.2024. N43 ონის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N17/2024, 31.10.2024. N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N54/2024, 31.10.2024. N3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N96/2024, 31.10.2024. N11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N29/2024, 31.10.2024. N6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N112/2024, 31.10.2024. N50 საჩხერის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N25/2024 31.10.2024. N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N47/2024, 31.10.2024. N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N39/2024, 31.10.2024. N70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N38/2024, 31.10.2024. N33 ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N33/2024, 31.10.2024. N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N54, 31.10.2024. N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N99/2024, 31.10.2024. N29 ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N19/2024, 31.10.2024. N16 ყვარლის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N29/2024 31.10.2024. N82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N28/2024, 30.10.2024. N62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N48/2024, 31.10.2024. N69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N22/2024, 31.10.2024. N45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N23/2024, 31.10.2024. N68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N20/2024, 31.10.2024. N25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N20/2024, 31.10.2024. N58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N42/2024, 31.10.2024. N56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N28/2024, 01.11.2024. N48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N26/2024, 31.10.2024. N35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N30/2024, 31.10.2024. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N25/2024, 31.10.2024. N55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N35/2024, 31.10.2024. N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N27/2024, 31.10.2024. N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება N22/2024, 31.10.2024.

[48] გამონაკლისია სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული განკარგულება, რომლის თანახმადაც, საიას საჩივარი დარჩა განუხილველი საოლქო საარჩევნო კომისიაში დაგვიანებით წარდგენის საფუძვლით.

[49] ასევე, გამონაკლისია ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული განკარგულება, რომელშიც პრაქტიკულად არ არის მოცემული მსჯელობა. ოლქმა უარი თქვა საიას საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ორგანიზაციის დამკვირვებლებს კენჭისყრის დღეს უბანზე

ქვეთავებში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საიას საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითადი არგუმენტაციაა შეფასებული.

- **ამომრჩევლის „სწორი ქცევის“ სტანდარტი**

საოლქო საარჩევნო კომისიების მითითებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე გამოყენებულ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში[50] ამავე არჩევნებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენის[51] ამომრჩევლის მიერ სწორად მოთავსების შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ხმის მიცემისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობის დარღვევა. საარჩევნო ადმინისტრაციის მითითებით, ამას უზრუნველყოფდა არჩევნებზე გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტისა და საარჩევნო ბიულეტენის ფორმა (ზომა/სისქე): „ამომრჩევლის მიერ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში ბიულეტენის სწორად მოთავსების, ხოლო შემდგომ ამომრჩევლის მიერ სპეციალური ჩარჩო-კონვერტით საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში სწორად მოთავსების შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ხმის მიცემისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობის დარღვევა. კერძოდ, შეუძლებელი იყო გამოჩენილიყო, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე გააფერადა ამომრჩეველმა“.

აღსანიშნავია, რომ მოხმობილი არგუმენტაცია გვხვდება როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების, ისე საერთო სასამართლოების მსჯელობაში და პრაქტიკულად უცვლელი ფორმით არის მოცემული გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვან ნაწილში.[52]

- **ცესკოს პასუხისმგებლობის ფარგლები**

ცესკოს პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას, ოლქები, ერთი მხრივ, მიუთითებენ, რომ „ცესკომ სამართლებრივი აქტებით დაადგინა იმგვარი წესი, რომლის დაცვის შემთხვევაში, სრულად უზრუნველყოფილი იყო კენჭისყრის ფარულობა. ამასთანავე, ცესკომ საარჩევნო ბიულეტენის ზომისა და არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობის გათვალისწინებით, დაამზადა ისეთი ზომის სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, რომელშიც საარჩევნო ბიულეტენის დადგენილი წესით მოთავსების შემთხვევაში, სრულიად იქნებოდა უზრუნველყოფილი კენჭისყრის ფარულობა“.

ამდენად, საოლქო კომისიების შეფასებით, „ცესკომ განახორციელა კენჭისყრის ფარულობის დაცვისთვის აუცილებელი სამართლებრივი, ტექნიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებები“.

განკარგულებებში ასევე აღნიშნულია, რომ „ამომრჩევლის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი ზომის, სისქის და სახის სპეციალური ჩარჩო კონვერტისა და საარჩევნო ბიულეტენის

---

საჩივარი არ დაუწერიათ. სხვა საოლქო საარჩევნო კომისიების მსჯელობისგან გამოირჩევა ასევე N52 ბაღდათის საოლქო კომისიის მიერ მიღებული განკარგულება, რომელშიც არგუმენტაცია მთლიანად ეფუძნება იმას, რომ გასაჩივრებული იყო N52 ბაღდათის ოლქში შემავალი ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმები, მომჩივანი (საია) კი არ მიუთითებდა, კონკრეტულად რომელი უბნის შემაჯამებელი ოქმი იყო კანონის დარღვევით შედგენილი.

[50] სპეციალური ჩარჩო-კონვერტის ფორმა დადგინდა ცესკოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N266/2024 განკარგულებით.

[51] საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და ტექსტი დადგინდა ცესკოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N265/2024 და N266/2024 განკარგულებებით.

[52] უფრო დეტალურად ეს საკითხი ანგარიშის მომდევნო ნაწილებშია მიმოხილული.

დამზადების შემთხვევაში, შესაძლებელია გაირკვეს, ამა თუ იმ ამომრჩეველმა ვის მისცა ხმა, თუ შესაბამისი ამომრჩევლის სურვილს წარმოადგენს, სხვისთვის გახდეს ცნობილი მის მიერ არჩევნებზე გამოხატული ნება ან თუ ამომრჩევლის მიერ არ იქნება დაცული საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსების წესი".

- **ბიულეტენის სისქე, როგორ ხმის ფარულობის დაცვის გარანტი**

საოლქო საარჩევნო კომისიების შეფასებით, ხმის ფარულობის გარანტორი, ჩარჩო-კონვერტთან ერთად, თავად ბიულეტენის ფურცელიც იყო. ჩარჩო-კონვერტში ბიულეტენის არასწორად მოთავსების შემთხვევის განხილვისას საოლქო საარჩევნო კომისიამ განმარტა: ცესკოს მიერ დამზადებული საარჩევნო ბიულეტენის სისქისა და მასზე არსებული საარჩევნო სუბიექტების სიმრავლის გათვალისწინებით, შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულმა ამომრჩეველმა რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა, მითუმეტეს, რომ 2024 წლის 26 ოქტომბერს გამოყენებული ბიულეტენის უკანა გვერდზე არ ჩანდა/ჩანს საარჩევნო სუბიექტების სახელწოდებები და რიგითი ნომრები, მათ შორის, არც რიგითი ნომრების წინ არსებული წრეები.

საოლქო საარჩევნო კომისიები დამატებით მიუთითებენ, რომ საარჩევნო ბიულეტენებისთვის გამოყენებული იყო „მაღალი გრამაჟობის ოფსეტური ქაღალდი", რომელიც ცესკომ საარჩევნო ბიულეტენების ტექსტის დამტკიცებამდე, მომწოდებელი კომპანია „სმარტმატიკისგან" გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე შეიძინა. საოლქო საარჩევნო კომისიები ასევე განმარტავდნენ, რომ „190-გრამიანი ოფსეტური ქაღალდი უფრო სქელია, ვიდრე რეკომენდებული იყო მომწოდებელი კომპანიის მიერ".

- **ამომრჩევლის იდენტიფიცირების შესაძლებლობა**

საოლქო საარჩევნო კომისიების განმარტებით, „კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ხორციელდება მხოლოდ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის მიერ. შესაბამისად, კენჭისყრის შენობაში მყოფ სხვა პირთა მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია ამომრჩევლის იდენტიფიკაცია კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა და კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა რაოდენობისა და საარჩევნო უბნების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, იმ უბნებს და მათში ამომრჩეველთა რაოდენობას, სადაც ელექტრონული არჩევნები გაიმართა, იმის თეორიულად დაშვების შემთხვევაშიც, თუ საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე ჩანს სპეციალური მარკერის კვალი".

- **ვიდეოგადაღება უბნებზე**

საოლქო საარჩევნო კომისიები მიღებულ გადაწყვეტილებებში, ერთი მხრივ, საუბრობენ უბნებზე კამერების განთავსების კანონიერებაზე,[53] მეორე მხრივ კი, მიუთითებენ, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე გამოყენებულ კენჭისყრის

[53] საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი: კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის კაბინის გარდა, აგრეთვე საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირს საარჩევნო პროცესისათვის/საარჩევნო კომისიის სხდომის მუშაობისათვის ხელის შეშლის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიც, ამ კანონის შესაბამისად, არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტოვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია ამ კანონით.

კაბინებში, კაბინის სახისა და ფორმის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების პროცედურის ფოტოგადაღება საჩივარში მითითებული სტაციონარულად განთავსებული ვიდეოკამერის მეშვეობით.

**ამდენად:**

- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში პრობლემატურია ის გარემოება, რომ ოლქები ერთმანეთისგან იზოლირებულად მსჯელობენ ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსებისა და საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე მასობრივად განთავსებული კამერების საკითხზე. ისინი ჰიპოთეზური დაშვების ფარგლებშიც კი არ განიხილავენ ხმის მიცემის პროცესს ამომრჩევლის პერსპექტივიდან;
- პრობლემატურია ისიც, რომ ოლქებმა პასუხისმგებლობის სიმძიმე ერთხმად გადაიტანეს ამომრჩეველზე, ხოლო ცესკოს ვალდებულებები, ძირითადად, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებით შემოფარგლეს, თუმცა ამ აქტებით განსაზღვრული წესის პრაქტიკაში იმპლემენტაციის გვერდით მხარეებზე არ უმსჯელიათ;
- ოლქებმა ცესკოს მიერ გამოყენებული ფურცლის ხარისხი შინაარსობრივად დაუკავშირეს მომწოდებელი კომპანიის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და არც ამ ნაწილში იმსჯელეს ფაქტობრივ მოცემულობაზე;
- ამომრჩევლის იდენტიფიცირების ალბათობა საოლქო საარჩევნო კომისიებმა ასევე ერთხმად გამორიცხეს მხოლოდ რეგისტრატორ კომისიის წევრზე მითითებით, ისე, რომ არ გაითვალისწინეს უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირების გადაადგილების, მათ მიერ ამომრჩევლის იდენტიფიცირების ან მის მიერ გამოვლენილი ნების აღქმის შესაძლებლობა;
- ნიშანდობლივია ისიც, რომ ოლქებს არ გამოურიცხავთ ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალის გადასვლის ალბათობა. ამის მიუხედავად, მათ მკაფიოდ არ იმსჯელეს ფაქტის მნიშვნელობასა და მისი ზეგავლენის ხარისხზე ნების თავისუფლად გამოვლენის პროცესში;
- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თითქმის ყველა შემთხვევაში იდენტურია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ საკითხი გადაწყვიტეს არა დამოუკიდებლად, არამედ იხელმძღვანელეს ერთიანი ინსტრუქციით/ტექსტით.

### 3.2. ხმის ფარულობაზე დავა საერთო სასამართლოების სისტემაში

#### 3.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული განკარგულებები საიამ საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში გაასაჩივრა.

წარდგენილი სარჩელებით მოთხოვნილი იყო:

1. საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებების ბათილად ცნობა;
2. საარჩევნო ოლქებში შემავალი ყველა იმ საარჩევნო უბნისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული შემაჯამებელი ოქმების ბათილად

ცნობა, სადაც არჩევნები ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ჩატარდა.

ამ ქვეთავში გაანალიზებულია ის ძირითადი სამართლებრივი არგუმენტები და ტენდენციები, რომლებზე დაყრდნობითაც პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განმხილველი 23 მოსამართლიდან 22-მა უარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

- მოსამართლეები გადაწყვეტილებათა უმეტესობაში უთითებენ იმ ფაქტზე, რომ საიას მიერ წარდგენილი მტკიცებულებები (ფოტო/ვიდეო მასალა) არ მიემართება კონკრეტულად განსახილველ უბნებს ან/და არ იკვეთება, რომელ უბანს აღწერს.

ზოგ შემთხვევაში, ეს ნაწილი დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სახით გვხვდება. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში[54] ვკითხულობთ, რომ „ცალკეულ შემთხვევებში, ბიულეტენები, რომელთა უკანა მხრიდან ფიქსირდება გაფერადებული წრის კვალი, არ ეკუთვნის ბათუმის და ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიების ტერიტორიებს“.[55]

მსგავს მსჯელობას ვაწყდებით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშიც. საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად,[56] „მოსარჩელემ წარმოადგინა ვიდეომასალა და ფოტოები რამდენიმე უბანზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის თაობაზე, თუმცა, რომელ უბანზეა ეს კონკრეტული ვიდეოები გადაღებული, ამ ფაქტსაც ვერ ადასტურებს მოსარჩელე“.[57]

სასამართლოები ყურადღების მიღმა ტოვებენ იმ ფაქტს, რომ ცესკოს მიერ გავრცელებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, საარჩევნო კომისიამ შეიძინა ერთნაირი ხარისხის ქაღალდი, ერთნაირი მარკერი, შესაბამისად, ყველა საარჩევნო უბანზე არსებული ბიულეტენი იყო ერთი და იმავე ხარისხის. ამდენად, თუ ერთ უბანთან მიმართებით დადგინდებოდა, რომ არსებული საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფდა ამომრჩევლის ფუნდამენტური უფლების, ხმის ფარულობის, დაცვას, ანალოგიურ დარღვევასთან გვექნებოდა საქმე ყველა უბანზე. ამგვარი განზოგადება მიჩნეული უნდა იყოს არათუ საპროცესო სამართლის ნორმებიდან გადახვევად, არამედ - საქმის გარემოებების სრულყოფილ გამოკვლევად და ლოგიკურ სამართლებრივ მსჯელობად, რაც ამ საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სამწუხაროდ, არ მომხდარა.

- გადაწყვეტილებათა უმეტესობაში სასამართლო იზიარებს მოპასუხის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ამომრჩეველს „სწორი“ ქცევის სტანდარტით უნდა ემოქმედა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით,[58] „ამომრჩევლის მიერ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში საარჩევნო ბიულეტენის სწორად მოთავსების, ხოლო შემდგომ ამომრჩევლის მიერ სპეციალური ჩარჩო-კონვერტით საა-

[54] საქმე N3-760/24, 3/11/2024.
[55] მსგავსი არგუმენტაციები გვხვდება სენაკის რაიონული სასამართლოსა (საქმე N3/83, 3/11/2024) და საჩხერის რაიონული სასამართლოს (საქმე N3/41-24, 3/11/2024) გადაწყვეტილებებშიც.
[56] საქმე N3/41-24, 3/11/2024.
[57] ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, „წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან არც ერთი მათგანი არაა გადაღებული ხობის და ფოთის საარჩევნო უბნებზე“, საქმე N3/115-2024, 3/11/2024.
[58] საქმე N3-174/24, 3/11/2024.

რჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში სწორად მოთავსების შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ხმის მიცემისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობის დარღვევა“.

როგორც უკვე აღინიშნა, საოლქო საარჩევნო კომისიების მსგავსად, სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვან ნაწილშიც ეს ფრაზა პრაქტიკულად უცვლელი სახით გვხვდება.[59]

ამომრჩეველს, როგორც ვალდებულების მქონე სუბიექტს, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს რამდენიმე გადაწყვეტილება. მაგალითად, საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში[60] ვკითხულობთ, რომ „არჩევნებში ხმის მიცემის უფლების რეალიზაცია მაქსიმალურად არის ახსნილი და განმარტებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ამომრჩეველზეა დამოკიდებული უშუალოდ ხმის მიცემის ქმედების სწორად განხორციელება კენჭისყრის მომენტში“.[61]

მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების[62] თანახმად კი, „საარჩევნო უფლების დაცვა არის არა მხოლოდ ამომრჩევლის უფლება, არამედ ვალდებულებაც“.[63]

ამდენად, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციამ, ისე სასამართლოებმა ფარულობის დაცვაზე პასუხისმგებლობა სრულად ამომრჩეველს დააკისრეს, რომლის ქცევაც, ხმის მიცემის ახალი  მოდელის პირობებში, კვლავაც ფორმირების პროცესშია.

- საოლქო საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა, ძირითად შემთხვევებში, ერთხმად გამორიცხეს იმის შესაძლებლობა, რომ ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის ნაჟღენთის გადასვლისა და მისი ადგილმდებარეობის გარჩევის შემთხვევაშიც კი, მესამე პირისთვის ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანი აღქმადი იქნებოდა.

კონკრეტული ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის სხვათა მიერ შეცნობის გამოსარიცხად სასამართლოები სხვადასხვა საფუძველს ასახელებენ:

– დროის მცირე მონაკვეთი

იდენტურია ქუთაისისა[64]  და სამტრედიის[65]  საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების 7.3. პუნქტები: „სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ვიდეომასალით დასტურდება, გარკვეულ შემთხვევებში, საარჩევნო ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის გადასვლის კვალი. აღნიშნული შე-

[59] გორის რაიონული სასამართლო, საქმე N3/251-24, 3/11/2024. ხაშურის რაიონული სასამართლო, საქმე N3-96-2024, 3/11/2024. თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N3/8255-24, 3/11/2024. მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N3/395-24, 3/11/2024. ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე N2/204-24, 4/11/2024. სიღნაღის რაიონული სასამართლო, საქმე N3/160-24, 4/11/2024.

[60] საქმე N3/41-24, 3/11/2024.

[61] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ სასარჩელო მოთხოვნების განხილვის შემდგომ პასუხისმგებლობა ამომრჩეველს გადააკისრეს გორისა (საქმე N3/264-24, 5.11.2024) და ხაშური რაიონულმა სასამართლოებმაც (საქმე N3-97-2024, 4.11.2024).

[62] საქმე N3/395-24, 3/11/2024.

[63] მსგავს მსჯელობას ავითარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოც, საქმე N3-332-24, 3/11/2024. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მითითებით კი, თუ კონვერტი ახლოს იქნებოდა განთავსებული აპარატის მიმღებთან, სრულად გამოირიცხებოდა ბიულეტენზე რაიმეს გარჩევის შესაძლებლობა. საქმე N3/157-24, 3/11/2024. ამომრჩევლის სწორი ქცევის შემთხვევაში, მისი ხმის გამჟღავნების ალბათობა გამორიცხა ბათუმის საქალაქო სასამართლომაც, საქმე N3-760/24, 3/11/2024.

[64] საქმე N3/638-24, 3/11/2024.

[65] საქმე N3/72-24, 2/11/2024.

საძლებელია, შესამჩნევი იყოს ბიულეტენის ხმის მთვლელ აპარატში მოთავსების პროცესში, დროის უმცირეს მონაკვეთში, რა დროსაც შეუძლებელია იმის დადგენა, ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა“.[66]

სასამართლომ აღიარა ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის გაჟონვის ფაქტი, თუმცა, ამ შემთხვევაში, ხმის ფარულობის დარღვევა ვერ დაინახა, რადგან იგი დროის მცირე მონაკვეთში მოხდა. რეალურად, სასამართლოს არ შეუფასებია, რამდენად მცირეა ეს დრო და რამდენად შეუძლებელი იყო სხვა ადამიანის/დამკვირვებლის მხრიდან ამომრჩევლის მიერ გამოხატული ნების აღქმა.

ასევე ბუნდოვანია, რის საფუძველზე დაადგინეს ქუთაისის საქალაქო და სამტრედიის რაიონულმა სასამართლოებმა, რომ ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსებას დროის უმცირესი მონაკვეთი სჭირდება. ცესკოს მიერ გავრცელებული ვიდეორგოლიც ცხადყოფს, როგორ ჩნდება ბიულეტენის უკანა მხარე აპარატში მის ნაწილ-ნაწილ მოთავსებამდე, სხდომაზე კი სასამართლოს ექსპერიმენტი არ ჩაუტარებია.

– აპარატთან ამომრჩეველი იმყოფება მარტო, შესაბამისად, გამორიცხულია მესამე პირების მხრიდან დაკვირვების შესაძლებლობა

ზოგიერთი საქალაქო/რაიონული სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ხორციელდება მხოლოდ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის მიერ. შესაბამისად, საარჩევნო უბანზე მყოფ სხვა პირთა მხრიდან ამომრჩევლის იდენტიფიკაცია შეუძლებელია საარჩევნო უბნების მოწყობისა და უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე ჩანს სპეციალური მარკერის კვალი“.[67]

სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად,[68] „წარმოუდგენელია საარჩევნო ურნასთან კენჭისყრის დღეს, მთელი დღის განმავლობაში ყოფილიყო მხოლოდ ერთი „დაინტერესებული სუბიექტის” წარმომადგენელი, რომელიც განახორციელებდა დაკვირვებას საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს მონიშვნის კვალის გადმოსვლაზე“.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ[69] ასევე განმარტა: „მიუხედავად იმისა, ბიულეტენის უკანა მხარეს იკვეთება თუ არა მარკერის კვალი, განსახილველ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ დგინდება ბიულეტენების გადაღების და საჯაროდ გავრცელების ფაქტი, შესაბამისად, ფარულობის დარღვევის შესახებ საუბარი აზრს მოკლებულია“.

სასამართლომ დამატებით განმარტა: „ამომრჩეველმა ელექტრონულ აპარატთან მიახლოებამდე კაბინაში ფარულად უკვე გამოავლინა თავისი ნება, რა დროსაც ფა-

[66] დროის უმცირესი მონაკვეთის გამო, ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი არჩევანის იდენტიფიცირების შესაძლებლობა გამორიცხა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომაც, საქმე N3/157-24, 3/11/2024. ახალქალაქის რაიონული სასამართლო კი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამ დასაბუთებას, საქმე N3/59-24, 4/11/2024.

[67] არგუმენტაციის ეს ნაწილი საოლქო საარჩევნო კომისიების მსჯელობის იდენტურია და იგი უცვლელად გვხვდება სასამართლოების გადაწყვეტილებებშიც: რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-332-24, 3/11/2024; ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/187-24, 4/11/2024; ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/204-24, 4/11/2024.

[68] საქმე N3/157-24, 4/11/2024.

[69] საქმე N2/204-24, 4/11/2024.

რულობის პრინციპი დარღვეული არ ყოფილა, ხოლო ელექტრონული აპარატი მხოლოდ დამთვლელი აპარატია“.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ფარულობის პრინციპის რეალიზაცია მხოლოდ ხმის მიცემის კაბინაში ნების გამოხატვამდე დაიყვანა და მთელი შემდეგი პროცესი, ბიულეტენის აპარატში მოთავსებამდე, მხედველობის მიღმა დატოვა. მან ფარულობის დარღვევა, შინაარსობრივად, ბიულეტენების გადაღების და შემდეგ საჯაროდ გავრცელების ფაქტს დაუკავშირა, რაც ვერ იქნება გაზიარებული. ფარულობა დარღვეულია მაშინაც, როდესაც კონკრეტული ადამიანის არჩევანი ნებისმიერი მესამე პირისთვის ხდება ცნობილი, იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს არჩევანი დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი პირთა ფართო წრისთვის.

– ბიულეტენის უკანა მხარეს არ ჩანს კონკრეტული სუბიექტის დასახელება,[70] ამასთანავე, საარჩევნო სუბიექტების სახელწოდებებს შორის დაშორება მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრია

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობის მიხედვით,[71] ბიულეტენის უკანა გვერდზე ე.წ. „გაფერადებული წრის კვალის“ გამოჩენის შემთხვევაშიც კი, არ არსებობდა იმის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, კონკრეტულად ვის დაუჭირა მხარი ამომრჩეველმა. ამის დამადასტურებელ არგუმენტად სასამართლომ (მათ შორის) ასევე მიუთითა, რომ საარჩევნო სუბიექტების სახელწოდებებს შორის დაშორება მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრი იყო.[72]

დასაბუთების მიუხედავად, ბუნდოვანია, რა კრიტერიუმით გამორიცხა სასამართლომ, რომ წრის ადგილმდებარეობა იდენტიფიცირებადს ვერ გახდიდა, ვის მისცა ან არ მისცა ხმა ამომრჩეველმა, ვინაიდან საარჩევნო სია და არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა ნუმერაცია ყველასთვის წინასწარ იყო ცნობილი.

ასევე, ბიულეტენზე საკმაოდ დიდი იყო მანძილი ოპოზიციურ და სახელისუფლებო პოლიტიკურ პარტიებს შორის, რაც კიდევ უფრო ამარტივებდა ამომრჩევლის ნების იდენტიფიცირებას, როგორც მინიმუმ, იმის აღქმას, პირმა ოპოზიციის სასარგებლო არჩევანი გააკეთა თუ - ხელისუფლების. სასამართლომ ეს გარემოებაც შეფასების მიღმა დატოვა.

- სასამართლოები საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის მართლზომიერების დასასაბუთებლად ხშირად აპელირებენ, ერთი მხრივ, ცესკოს მიერ განსაზღვრულ პროცედურებზე, მეორე მხრივ კი, მის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო მითითებებსა და საინფორმაციო ვიდეორგოლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების[73] თანახმად, „ცესკომ სამართლებრივი აქტებით დაადგინა საარჩევნო ბიულეტენის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსების, ხოლო ამ სპეციალური ჩარჩო-კონვერტით საარჩევნო ბიულეტენის ხმის მთვლელ სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსების ისეთი წესი, რომლის დაცვის შემთხვევაში სრულად უზრუნველყოფილი იყო კენჭისყრის ფარულობა. ამასთანავე, ცესკომ საარჩევნო ბიულეტენის ზომისა და არჩევნებში

[70] გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/251-24, 3/11/2024; ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-96-2024, 3/11/2024.
[71] საქმე N3/8255-24, 3/11/2024.
[72] მსგავსი მსჯელობა აქვს განვითარებული სიღნაღის რაიონულ სასამართლოსაც, როგორც საიას (საქმე N3/160-24, 4/11/2024), ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ საქმეზე, N3/157-24, 4/11/2024.
[73] საქმე, N3/8255-24, 3/11/2024.

მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობის გათვალისწინებით, დაამზადა ისეთი ზომის სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, რომელშიც საარჩევნო ბიულეტენის დადგენილი წესით მოთავსების შემთხვევაში, სრულად იქნებოდა უზრუნველყოფილი კენჭისყრის ფარულობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცესკომ განახორციელა კენჭისყრის ფარულობის დაცვისთვის აუცილებელი სამართლებრივი, ტექნიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებები".[74]

სასამართლოები, როგორც წესი, ყურადღების მიღმა ტოვებენ იმ ფაქტს, რომ ამომრჩევლის ქცევა ვერ იქნება იდეალური, დადგენილ ინსტრუქციებთან აბსოლუტურ თანხვედრაში, მით უფრო, ახლად დანერგილი მოდელის პირობებში.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოქალაქეებს ცესკოს მიერ განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვითაც რომ მიეცათ ხმა, მათი არჩევანის ფარულობა მაინც ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი ელექტრონულ აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესში.

ამასთანავე, ცესკოს ძალისხმევის ეფექტიანობა, ამომრჩევლის სათანადოდ ინფორმირების კონტექსტში, ვიდეორგოლების ხანგრძლივობით, სიმრავლით ან შემუშავებული პროცედურებით კი არ უნდა შეფასდეს, არამედ თავად ამომრჩევლის ქცევით, მიღებული შედეგით და ფაქტობრივი მოცემულობით. უდავოა, რომ ამომრჩეველს საკუთარი ხმის ფარულობის უზრუნველყოფა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უნდა შეეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო სისტემის, როგორც ასეთის, არსებობას აზრი ეკარგება. სწორედ ამაზე ზრუნვაა ცესკოს ძირითადი ვალდებულება.

- უბანზე დამონტაჟებული კამერების საკითხზე მსჯელობისას, სასამართლოები ზოგიერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებენ საარჩევნო კანონმდებლობით გარანტირებულ შესაძლებლობაზე, რომ შესაბამისი პირობების დაცვით საარჩევნო უბნებზე კამერების განთავსება დაშვებულია, მეორე მხრივ კი, მტკიცების ტვირთზე აპელირებით, მოსარჩელისგან მოითხოვენ მტკიცებულებების წარდგენას, რომლითაც დადგინდებოდა, კონკრეტულად რას იღებდა უბანზე განთავსებული კამერა.[75]

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მსჯელობის თანახმად,[76] მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ კამერა სწორედ ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსების ფაქტს აკვირდებოდა.[77]

---

[74] მსგავსი მსჯელობაა მოცემული სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც, როგორც საიას (N3/160-24, 4/11/2024), ისე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს", „საქართველოს მომავლის აკადემიისა"და „ღია სივრცე კავკასიის" (N3/157-24, 4/11/2024) საქმეებზე. ანალოგიურად მსჯელობს ზესტაფონის რაიონული სასამართლოც, საქმე N3/84-24, 3/11/2024.

[75] მსგავსი შინაარსის მსჯელობა გვხვდება პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილებაში, მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-332-24, 3/11/2024; ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/115-2024, 3/11/2024.

[76] საქმე N3/157-24, 3/11/2024.

[77] საკმაოდ მრავალფეროვანია სასამართლოთა მსჯელობა უბნებზე განთავსებული კამერების საკითხზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მითითებით, „აღნიშნული გადამღები მოწყობილობა განეკუთვნება არასტაციონარულ, გადასაადგილებელ, სპეციალურ სადგამზე დამაგრებულ გადამღებ მოწყობილობას, რომელიც სადავო ადგილზე შეიძლება განათავსოს ნებისმიერმა პირმა", საქმე N3-760/24, 3/11/2024;
ამის პარალელურად, თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კამერები გარკვეულ უბნებზე სტაციონარულად იყო დამონტაჟებული და ისინი უყურებდა საარჩევნო ყუთს, შესაბამისად, ამ ნაწილში მან რაიმე დარღვევა/წინააღმდეგობა ვერ აღმოაჩინა, საქმე N3/8255-24, 3/11/2024;
ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საჩივრები წარდგენილია არჩევნებიდან სამი დღის შემდეგ, როდესაც დამონტაჟებული კამერები უკვე მოხსნილია და ვერ

გურჯაანის რაიონული სასამართლოს განმარტებით,[78] არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა უბნებზე ვიდეოკამერების არსებობა, მითუმეტეს, მათი იმგვარად განთავსება, რომ ხელი შეეშალა ხმის ფარულობის დაცვისთვის.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ[79] კი უპირობოდ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ არჩევნების დღეს სადავო კამერები იყო გამორთული, იმავდროულად, მოსარჩელე მხარეს დააკისრა მტკიცების ტვირთი და მიუთითა იმ მასალის წარდგენის აუცილებლობაზე, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არჩევნების დღეს კამერა ჩართული იყო.

მიუხედავად არგუმენტაციათა მრავალფეროვნებისა, საერთო სასამართლოების მსჯელობას საერთო ის აქვს, რომ პრაქტიკულად ყველა მათგანმა იზოლირებულად განიხილა ბიულეტენის უკანა მხარეს გადასული მარკერის კვალისა და უბნებზე მასობრივად განთავსებული კამერების საკითხი. რაც მთავარია, მათ ეს არ შეუფასებიათ ამომრჩევლის, როგორც მოწყვლადი კატეგორიის, პერსპექტივიდან, რა შესაძლო ეფექტი შეიძლებოდა გამოეწვია ამ გარემოებათა დამთხვევას.

მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესზე მითითებისას, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რა ინფორმაციაზე შეიძლებოდა ჰქონოდა წვდომა მოსარჩელეს.

- სასამართლოების მტკიცებით, უბნებზე კამერების განთავსება არ იწვევდა ხმის ფარულობის დარღვევას და ამას რამდენიმე მექანიზმის არსებობით ხსნიდნენ, მათ შორისაა, ხმის მიცემის კაბინისა და ჩარჩო-კონვერტის ფორმა.

არაერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოყვანილი არგუმენტის იდენტურ დასაბუთებას. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო[80] სიტყვა-სიტყვით იმეორებს სხვა გადაწყვეტილებების არგუმენტაციას და განმარტავს, რომ „კაბინის სახისა და ფორმის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების პროცედურის ფოტოვიდეოგადაღება“.[81]

რაც შეეხება ჩარჩო-კონვერტს, მის ფუნქციაზე მსჯელობისას ახალციხის რაიონულმა სასამართლომ განმარტა,[82] რომ „კონვერტს აქვს როგორც აპარატში მოთავსებისთვის ბიულეტენის წარმმართავი, ასევე, ამომრჩევლის არჩევანის დაცვის ფუნ-

---

დგინდება, სად იყო ისინი დამონტაჟებული და რას იღებდა. საქმე N2/204-24, 4/11/2024;
ფოთის საქალაქო სასამართლოს მსჯელობით კი, „წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ეს კამერები უშალოდ ფოთის/ხობის ოლქების ტერიტორიაზე იყო დადგმული და, რომ ამ კამერებით იღებდნენ უშუალოდ ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესს“. საქმე N3/115-2024, 3/11/2024;
თელავის რაიონულმა სასამართლომ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ სასარჩელო მოთხოვნებზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, კამერებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რითაც უტყუარად დადგინდებოდა, რომ განთავსებული კამერებით ხდებოდა უშუალოდ ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესის გადაღება. საქმე N3/156-2024, 4/11/2024.

[78] საქმე N3/177-24, 4/11/2024.

[79] საქმე N3/190-24, 3/11/2024.

[80] საქმე N3-174/24, 3/11/2024.

[81] მსგავსი მსჯელობა გვხვდება სხვა გადაწყვეტილებებშიც: ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-96-2024, 3/11/2024; თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/8255-24, 3/11/2024; გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/251-24, 3/11/2024.

[82] საქმე N2/204-24, 4/11/2024.

ქცია და იმ შემთხვევაში, თუ იგი ახლოს იქნება განთავსებული აპარატის მიმღებთან, სრულად გამოირიცხება ბიულეტენზე რაიმეს გარჩევის შესაძლებლობა“.[83]

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მითითებით კი,[84] ჩარჩო-კონვერტი მთლიანად ფარავდა საარჩევნო სუბიექტების მონაცემს, სწორედ ამიტომ, უბრალოდ, ვერ გამოჩნდებოდა, რომელი საარჩევნო სუბიექტის წინ მდებარე წრე გააფერადა ამომრჩეველმა.[85]

- ამომრჩევლის პერსპექტივიდან პროცესის შეფასებისას სასამართლოები მსჯელობენ, თავად ამომრჩევლის მხრიდან აღიქმებოდა თუ არა ხმის ფარულობის დარღვევად მარკერის ნაჭღენთის გამოჩენა ბიულეტენის მეორე მხარეს. ასევე, სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ ამომრჩევლის ნებელობაზე, მესამე პირთათვის შეცნობადი გახადოს საკუთარი არჩევანი.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ[86] იმსჯელა, ამომრჩევლის მიერ აღიქმებოდა თუ არა ხმის ფარულობის დარღვევად მარკერის კვალის მეორე მხარეს გადასვლა, რაც გამორიცხა, ვინაიდან ამომრჩეველს არცერთ შემთხვევაში არ მოუთხოვია ბიულეტენის ან კონვერტის შეცვლა.[87]

რაც შეეხება ამომრჩევლის ნებელობას, მესამე პირებს გაუმჟღავნოს თავისი არჩევანი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით,[88] ნებისმიერი სისქის ბიულეტენის დამზადების შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს ამომრჩევლის ხმის ფარულობა, თუ მას ამის სურვილი აქვს. ზოგადად, ამომრჩევლის ამგვარი ნების გამოვლენისგან არცერთი ფორმით და საშუალებით ჩატარებული პროცესი არ არის დაზღვეული.[89]

სასამართლოები არ მსჯელობენ, როგორ ან რა უნდა მოეთხოვა ამომრჩეველს, თუ უკვე აპარატში ბიულეტენის მოთავსებისას აღმოჩნდებოდა, რომ ხმა ხილული ხდებოდა მესამე პირებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა ამომრჩეველს საარჩევნო დავებზე საჩივრის/სარჩელის წარდგენის უფლებასაც კი არ ანიჭებს.

სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - დავის ფარგლებში მას სწორედ ის უნდა შეეფასებინა, ამომრჩევლის ნებისგან დამოუკიდებლად ხომ არ ხდებოდა მათი არჩევანის გამჟღავნება მესამე პირებისთვის.

---

[83] სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული ეს მსჯელობა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ სასარჩელო მოთხოვნებზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმე N3/156-2024, 4/11/2024.

[84] საქმე N3-174/24, 3/11/2024.

[85] მსგავსი მსჯელობაა მოცემული შემდეგ გადაწყვეტილებებში: გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/251-24, 3/11/2024; ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-96-2024, 3/11/2024; თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/8255-24, 3/11/2024.

[86] საქმე N3/157-24, 3/11/2024.

[87] იდენტური მსჯელობა გვხვდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც, საქმე N3/638-24, 3/11/2024; ასევე ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმე N2/204-24, 4/11/2024.

[88] საქმე N3-174/24, 3/11/2024.

[89] მსგავს მსჯელობას ავითარებს ხაშურის რაიონული სასამართლო, საქმე N3-97-2024, 4/11/2024; ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N3/8255-24, 3/11/2024.

- ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომელზეც თითქმის ყველა პირველი ინსტანციის სასამართლო აპელირებს,[90] არის საიას მიერ უბნებზე საჩივრის წარუდგენლობა.

სასამართლოები მიუთითებდნენ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 72-ე და 73-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი წარდგენილი უნდა იყოს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 07:00 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.[91]

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივარი საარჩევნო ყუთის გახსნამდე არ ყოფილა წარდგენილი.[92]

სასამართლოებმა არ იმსჯელეს საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლის იმ დებულებაზე, რომელიც საჩივრის წარდგენას „დარღვევის შემჩნევისთანავე“ ითვალისწინებს. ასევე, მხედველობაში არ მიიღეს საიას ძირითადი არგუმენტი, რომ დარღვევის მასშტაბურობა საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ გამოვლინდა.

საყურადღებოა ისიც, რომ არცერთ სასამართლოს არ განუხილავს, არსებითად რა პრაქტიკული სამართლებრივი შედეგი შეიძლებოდა გამოეღო უბანზე ამ შინაარსის საჩივრის წარდგენას.

სასამართლოებს ნათლად არ უმსჯელიათ, საარჩევნო კომისიებში საჩივრების წარუდგენლობას რამდენად შეიძლებოდა გადაეფარა ან/და გამოერიცხა მსგავსი მასშტაბის პრობლემის არსებობა. სენაკის რაიონულმა სასამართლომ[93] გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა სარჩელში აღწერილი დარღვევების ბუნებაზე და მათ (დადასტურების შემთხვევაში) ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე არჩევნების ლეგიტიმაციისთვის. ასევე, იქვე მიუთითა, რომ მსგავს შემთხვევებში დამკვირვებლის პირდაპირი მოვალეობაა საჩივრის დაწერა, რაც, მოსამართლის განმარტებით, ვერ დადასტურდა.

ამდენად, სენაკის რაიონულმა სასამართლომ, ერთი მხრივ, აღიარა ამგვარი დარღვევების არსებობის შემთხვევაში არჩევნების ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფა, მეორე მხრივ კი, არჩევნების კანონიერება/უკანონობის შეფასება მთლიანად დამკვირვებლის მიერ დროის კონკრეტულ მონაკვეთში საჩივრის დაწერას დაუკავშირა.

---

[90] მსგავსი არგუმენტაცია მოცემულია შემდეგი რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებებში: სენაკის რაიონული სასამართლო, საქმე N3/83, 3/11/2024; რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქმე N3-332-24, 3/11/2024; ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N3/157-24, 3/11/2024; ბათუმის საქალაქო სასამართლო, საქმე N3-760/24, 3/11/2024; ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე N3/638-24, 3/11/2024; გორის რაიონული სასამართლო, საქმე N3/251-24, 3/11/2024; ზესტაფონის რაიონული სასამართლო, საქმე N3/84-24, 3/11/2024; მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N3/395-24, 3/11/2024; გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე N3/177-24, 4/11/2024; საჩხერის რაიონული სასამართლო, საქმე N3/41-24, 3/11/2024; სიღნაღის რაიონული სასამართლო, საქმე N3/160-24, 4/11/2024; ფოთის საქალაქო სასამართლო, საქმე N3/115-2024, 3/11/2024; ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ სასარჩელო მოთხოვნებზე მცხეთისა (საქმე N3/396-2024, 3/11/2024) და ხაშურის (საქმე N3-97-2024, 4/11/2024) რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებები.

[91] საქმე N3-332-24, 3/11/2024.

[92] ნორმა მსგავსად განმარტა ახალციხის რაიონულმა სასამართლომაც, საქმე N2/204-24, 4/11/2024.

[93] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ სასარჩელო მოთხოვნებზე სენაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/81-2024, 3/11/2024.

- არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით მსჯელობისას სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხშირად მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან კენჭისყრის პროცედურების და პირობების განსაზღვრა არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე სახის შეზღუდვად“.[94]

საერთო სასამართლოების ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ არცერთი მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელის ფარგლებში დავის საგანი არ ყოფილა თავად ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩატარებაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება. მოსარჩელეები დავობდნენ იმის გამო, რომ ამ პროცესის სათანადოდ მოუმზადებლობამ ფარულობის პრინციპის დარღვევა განაპირობა, რაც, თავის მხრივ, არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას იწვევს.

საბოლოოდ, სასამართლოებმა, ზემოთ ხსენებულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საიას მიერ წარდგენილი მსჯელობა ზოგადად და აბსტრაქტულად მიიჩნიეს, ვინაიდან, მათი მითითებით, „არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომ რომელიმე საარჩევნო უბანზე, კონკრეტულად რომელიმე ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობა დაირღვა“.[95] შესაბამისად, მათ უარი თქვეს წარდგენილი სარჩელების დაკმაყოფილებაზე.

- **რა არ გაითვალისწინეს საერთო სასამართლოებმა საქმეთა განხილვისას?** მათ ჯეროვნად არ გაამახვილეს ყურადღება საიას მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, მათ შორის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე, რომელიც ცესკოსთან განხორციელებულ კომუნიკაციას ასახავს.

არჩევნებამდე ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე საიამ აღმოაჩინა ბიულეტენის სისქის პრობლემურობა და ამის შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციას წინასწარ მიმართა.[96] პასუხად, ორგანიზაციას ეცნობა, რომ ამ შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი იყო სატესტო ვერსია, ხოლო კენჭისყრის დღეს ბიულეტენის ხარისხი იქნებოდა განსხვავებული, რაც უზრუნველყოფდა ფარულობის დაცვას.

წერილიდან ნათლად ჩანდა, რომ ბიულეტენის სისქის პრობლემურობა ცესკოსთვისაც იყო ცნობილი, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის დაპირება ვერ შესრულდა.

- არ დაკმაყოფილდა საიას შუამდგომლობა, რომლითაც მოთხოვნილი იყო, რომ სასამართლოებს დაეთვალიერებინათ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, კენჭისყრის დღეს, ელექტრონულ/ტექნოლოგიურ უბნებზე გამოყენებული დალუქული ბიულეტენები მათი განთავსების ადგილზე (საწყობში), შემთხვევითობის პრინციპით შერჩევის საფუძველზე.

---

[94] რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-332-24, 3/11/2024. იდენტური მსჯელობაა მოცემული ასევე შემდეგი სასამართლოების გადაწყვეტილებებში: მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/395-24, 3/11/2024. გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/177-24, 4/11/2024, ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/187-24, 4/11/2024, ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/204-24, 4/11/2024.

[95] ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/115-2024, 3/11/2024; გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/177-24, 4/11/2024. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დამატებით არგუმენტად დაასახელა, რომ მოსარჩელის მიერ „არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულება (აუდიტის დასკვნა), რომ ტექნოლოგიით ჩატარებული ელექტრონული კენჭისყრა ეწინააღმდეგება საარჩევნო პრინციპებს, მათ შორის, ფარულობის კუთხით“, საქმე N2/204-24, 4/11/2024.

[96] 2024 წლის 28 სექტემბრის წერილი N01-01/1607.

ამის ნაცვლად, საერთო სასამართლოები, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებში აღნიშნავდნენ, რომ ცესკოს მიერ შეძენილი ქაღალდი უფრო სქელია, ვიდრე „მომწოდებლის მიერ“ იყო რეკომენდებული. საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ოფსეტური ქაღალდის არსზე მსჯელობას და იმ მიზეზების კვლევას, რომლებსაც შეიძლება პოტენციურად გამოეწვია ფურცლის მეორე მხარეს ნაჭღენთის გამოჩენა.[97]

უფრო მეტიც, რუსთავის საქალაქო სასამართლომ[98] დაუშვა მელნის მეორე მხარეს გამოჭონვის შესაძლებლობა, თუმცა იქვე დაასკვნა, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ამომრჩეველი ფლომასტერს დიდხანს გააჩერებდა ქაღალდზე.[99] შესაბამისად, სასამართლომ პასუხისმგებლობა კვლავ ამომრჩეველს დააკისრა და, საკუთარი ინიციატივით ექსპერიმენტის ჩატარების ან/და საიას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ნაცვლად, რაც ბიულეტენების დათვალიერების შესაძლებლობას მისცემდა, საჯარო სივრცეში განთავსებულ/მოძიებულ ინფორმაციას დაეყრდნო.

- სასამართლოები, როგორც წესი, სათანადოდ არ განიხილავდნენ აპარატიდან ბიულეტენის უკან დაბრუნების შესაძლებლობას და, ამ ალბათობის რეალიზების შემთხვევაში, პრაქტიკულად გარანტიის გარეშე დარჩენილი ხმის ფარულობის საკითხს.

**შეჯამება**

განხილული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთო სასამართლოებმა ამომრჩეველი განიხილეს პასუხისმგებლობებით დატვირთულ სუბიექტად, რომელსაც, ეკისრება ვალდებულება, თავისი „სწორი ქცევით“ დაიცვას ხმის ფარულობა. მეორე მხრივ, მათ ხმის ფარულობის დარღვევა ამომრჩევლის ნებელობის სფეროს დაუკავშირეს. თუმცა, დაუშვებელია, ერთი პრიზმიდან შეფასდეს შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი საკუთარი ნებით არღვევს ხმის ფარულობას და საკუთარ არჩევანს ასაჯაროებს და შემთხვევები, როდესაც, ამომრჩევლის მხრიდან ამგვარი ნება გამოხატული არ ყოფილა, მაგრამ პროცედურის სირთულემ ან/და გაუმართაობამ ვერ უზრუნველყო მისი ხმის ფარულობის დაცვა. თავად ადმინისტრაციულ ორგანოს და სასამართლოს უნდა დაედგინათ, რამ გამოიწვია ეს პრობლემა: მარკერის ხარისხმა, ბიულეტენის სისქემ თუ რაიმე სხვა ფაქტორმა.

სამართლებრივ სახელმწიფოში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძირითადი მოვალეობა სწორედ ამომრჩევლისთვის შესაბამისი გარანტიების შექმნაა ნების თავისუფლად გამოსავლენად. ამომრჩეველს არ უნდა სჭირდებოდეს ზედმეტი ძალისხმევა/სპეციალური ტრენინგის გავლა, რომ საკუთარი ხმის ფარულობა დაიცვას. ფარულობა საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან იმთავითვე უნდა იყოს უზრუნველყოფილი და ამ პრინციპის დარღვევა შემთხვევით, ამომრჩევლის ნებისგან დამოუკიდებლად, პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს.

[97] რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3-332-24, 3/11/2024, ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/204-24, 4/11/2024.
[98] საქმე N3-332-24, 3/11/2024.
[99] მსგავსი მსჯელობა მოცემულია ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაშიც, საქმე N2/204-24, 4/11/2024.

### 3.2.2. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება[100]

კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი საარჩევნო უფლების - ხმის ფარულობის დაცვის გზაზე უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები და ბათილად გამოცხადდა N25 წალკისა და N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო ოლქებში შემავალი იმ საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგები (კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შესაბამისი შემაჯამებელი ოქმები), სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო იყო ერთადერთი, რომელსაც პროცესის ფარგლებშივე ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლო ექსპერიმენტის ფარგლებში ხმის მიცემის პროცესს დაჰკვირვებოდა. 2024 წლის 3 ნოემბრის განჩინებით, სასამართლომ ცესკოდან გამოითხოვა ერთი ხმის მთვლელი სპეციალური ელექტრონული აპარატი (2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის სატესტო ვერსია), 20 ცალი საარჩევნო ბიულეტენი (2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ვერსია), 10 ცალი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი (2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ვერსია), 5 ცალი მარკერი (2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ვერსია) და სასამართლო სხდომაზე ექსპერიმენტი ჩაატარა.

საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასების, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ექსპერიმენტის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა:

- „კენჭისყრის ფარულობა უნდა იქნეს დაცული საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე“. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ **„იმის თეორიული დაშვებაც კი, რომ, შესაძლოა, დარღვეულ იქნეს ფარული კენჭისყრის პრინციპი, ამომრჩეველში იწვევს შიშს, რითაც ითრგუნება მისი თავისუფალი ნება. შესაბამისად, ასეთ გარემოში ჩატარებულ კენჭისყრას კანონიერი ლეგიტიმაცია ვერ ექნება“.**

ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ „N25 წალკის საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე (სულ 17 საარჩევნო უბანი) და N26 თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე (სულ 13 საარჩევნო უბანი) 2024 წლის 26 ოქტომბერს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნები შეიცავდა ყველა იმ რეალურ საფრთხეს, რომელიც შესაძლოა დაემუქროს კენჭისყრის ფარულობას და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას“.

სასამართლოს განმარტებით, „გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ გონივრულობის ფარგლებში, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია, ამომრჩეველმა წარმოდგენილი ბიულეტენის, მარკერის და ჩარჩო კონვერტის მეშვეობით გამოხატული ნება (გაფერადებული/გაუფერადებელი, მონიშნული/მოუნიშნავი ბიულე-

[100] საქმე N3-62-24(3/63-24), 4/11/2024, საქმის ფარგლებში სასამართლომ გააერთიანა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიის“, „ღია სივრცე კავკასიისა“ და საიას სარჩელები წალკისა და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“, „საქართველოს მომავლის აკადემიამ“ და „ღია სივრცე კავკასიამ“ 2024 წლის 29 ოქტომბერს საჩივარი შეიტანეს წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში და მოითხოვეს N1 და N32 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების ბათილობა, ასევე, შესაბამისი კომისიის წევრებისთვის დისციპლინური ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

ტენი) ისე მოათავსოს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში, რომ სრულიად გამორიცხული იქნეს მისი ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა“.

„აღნიშნული დადასტურდა სხდომის დარბაზში მხარეების და სასამართლოს მონაწილეობით ჩატარებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში, როდესაც რამდენიმე ფარულად მონიშნული საარჩევნო ბიულეტენის სხვადასხვა პირის მიერ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას, აპარატთან მდგომი მხარეებისთვის ცნობილი გახდა, ბიულეტენის რა ნაწილი იყო გაფერადებული. აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს რაიმე სხვა პოზიცია არ გამოუხატავთ“.

თეთრიწყაროს სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით,[101] შესაბამისად, „სასამართლოსთვის გაუგებარია და ვერც მოპასუხეებმა (საარჩევნო ადმინისტრაცია) ვერ განმარტეს, სასამართლოში წარმოდგენილი და არჩევნებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი, ჩარჩო-კონვერტი რა ნიშნით (ფერი, ზომა, წონა და ა.შ.) შეესაბამება ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული ნიმუშის ფორმას, სადაც არ არის მითითებული კონკრეტული მახასიათებლები. აღნიშნული შეეხება წარმოდგენილ მარკერსაც“.

გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის (მოპასუხის) თქმით, 2024 წლის 10 ოქტომბრის N265/2024 განკარგულების გარდა, ამ საკითხზე პასუხის გამცემი სხვა მარეგულირებელი აქტი არ არსებობს. შესაბამისად, სასამართლო არც ამ ნაწილში დასჯერდა ცესკოს პასუხისმგებლობის შეზღუდვას მხოლოდ მომწოდებელი კომპანიის რეკომენდაციის შესრულების არგუმენტით.

გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სადავო საარჩევნო უბნებზე შესაძლებელი იყო, ისე მოწყობილიყო ვიდეოგადაღების საშუალებები, რომ, კონტროლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს ჰქონოდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა მოქალაქის არჩევანი. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს ძირითადად შეეხება ჩარჩო-კონვერტში ჩადებული საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში მოთავსების, უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე (დაახლოებით 2-5) წამიან პროცესს. აქვე, სასამართლო ითვალისწინებს ცესკოს დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო ინსტრუქციის დებულებებს“.

მნიშვნელოვანია მოსამართლის მსჯელობა მტკიცების ტვირთის გადანაწილების კონტექსტშიც: „სასამართლოს მიაჩნია, რომ, როდესაც არსებობს დასაბუთებული და დადასტურებული მტკიცებულება იმისა, რომ არსებული საშუალებებით (ბიულეტენი, მარკერი, ჩარჩო-კონვერტი, ხმის დათვლის სპეციალური აპარატი), რეალურად, პრაქტიკულად შესაძლებელია დაირღვეს კენჭისყრის ფარულობის პრინციპი, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებს (საარჩევნო ადმინისტრაცია) ეკისრებათ მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად“.

[101] სასამართლომ მიუთითა ცესკოს მიერ 2024 წლის 10 ოქტომბრის N265/2024 განკარგულებით დადგენილ საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის ნიმუშებზე.

### 3.2.3. სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

*3.2.3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება*

აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები/საოქმო განჩინებები საიამ, სააპელაციო წესით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.[102]

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააერთიანა როგორც საიას, ისე სხვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა[103] და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ[104] წარდგენილი 22 სხვადასხვა საქმე.

სასამართლოში განხილვა 2024 წლის 6 ნოემბერს დაიწყო და თითქმის 23 საათის შემდეგ, 7 ნოემბერს დასრულდა.[105] უწყვეტი პროცესის ძირითად მიზეზად სასამართლომ საარჩევნო დავების შემჭიდროებულ ვადებში განხილვის ვალდებულება დაასახელა. თუმცა, ცალკე საკითხია, რამდენად ჰქონდა სამ მოსამართლეს შესაძლებლობა, სწორედ რომ შემჭიდროებულ ვადებში, სრულყოფილად გასცნობოდა წარდგენილი საქმეების მასალებს გაერთიანებული საჩივრების პირობებში, ასევე, რა აუცილებლობა არსებობდა, რომ სასამართლოს საქმეები ერთ წარმოებად გაეერთიანებინა.

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი.

ამის პარალელურად, სასამართლომ დააკმაყოფილა წალკისა და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიების სააპელაციო საჩივრები, გააუქმა წალკის მუნიციპალიტეტში თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2024 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმეებში საიას სარჩელების შინაარსი, არგუმენტები და მოტივაცია სრულად, ხოლო სხვა აპელანტი სადამკვირვებლო ორგანიზაციების[106] სარჩელების მოტივაციის მნიშვნელოვანი ნაწილი (გარდა უშუალოდ გასაჩივრებულ საარჩევნო უბნებზე გამოვლენილ დარღვევებზე მითითებებისა) შეეხებოდა საქართველოს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ხმის ფარულობის მასობრივად დარღვევას. შესაბამისად, დავის ფარგლებში სასა-

[102] გასაჩივრდა საიას სარჩელების/შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გორის, რუსთავის, მცხეთის, ხაშურის, ახალციხის, თელავის, გურჯაანის, ახალქალაქის, სიღნაღის, ბოლნისის, თბილისის საქალაქო (რაიონული) სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ამავე სასამართლოების საოქმო განჩინებები.

[103] ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს მომავლის აკადემიისა“ და „ღია სივრცე კავკასიის“ მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა მათი სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მცხეთის, ახალციხის, თელავის, გურჯაანის, გორის, ახალქალაქის, ბოლნისის, ხაშურის, რუსთავის, სიღნაღის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

[104] N25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის და N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა წალკის მუნიციპალიტეტში თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2024 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

[105] იხ. „რადიო თავისუფლების“ მიერ მომზადებული სიუჟეტი „23 საათი სასამართლო სხდომაზე“. https://youtu.be/eYDnSL94fHM?si=AXPc4le1_l5cH7n1, ნანახია: 10.01.2024.

[106] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საქართველოს მომავლის აკადემია“, „ღია სივრცე კავკასია“, „სამოქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის“.

მართლოს თავდაპირველად უნდა ემსჯელა, რამდენად იყო დაცული კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის ხმის ფარულობის პრინციპი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ცესკოს მიერ კენჭისყრის პროცესში გამოსაყენებელი ჩარჩო-კონვერტის და ბიულეტენის ფორმა/ზომა შეირჩა იმგვარად, რომ მიღწეული ყოფილიყო როგორც ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნების ფარულობის დაცვა, ისე საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებული შედეგების მთვლელი აპარატის ნორმალური ფუნქციონირება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მსჯელობის მსგავსად, ხმის ფარულობის დაცვა, შინაარსობრივად, დაუკავშირა როგორც ჩარჩო-კონვერტის მახასიათებლებს, ისე უშუალოდ საარჩევნო ბიულეტენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა აპელანტი საოლქო საარჩევნო კომისიების შუამდგომლობა და სხდომაზე ექსპერიმენტი ჩაატარა. როგორც სასამართლომ განმარტა, ამ საპროცესო მოქმედებით უნდა გარკვეულიყო, შესაძლებელი იყო თუ არა ელექტრონული აპარატის მეშვეობით ხმის მიცემისას, საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალის არსებობის შემთხვევაში, ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნების ცხადად იდენტიფიცირება.

ექსპერიმენტის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ „ბიულეტენის უკანა მხარეს გაფერადების კვალის ასახვის მიუხედავად, სახეზე არ არის კენჭისყრის ფარულობის პრინციპის დარღვევა, რადგან კენჭისყრის პროცესში გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტის ფორმა (ზომა/სისქე) სრულად გამორიცხავდა ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის გამჟღავნების შესაძლებლობას“.

სასამართლოს მითითებითვე, თუ ამომრჩეველი დაიცავდა ცესკოს მიერ დადგენილ ინსტრუქციას, შესაბამისად, „ბიულეტენის ხმის მთვლელ აპარატში მოთავსებისას ჩარჩო-კონვერტს დაიკავებდა ხელში თავისუფლად და, აპარატში ბიულეტენის მოძრაობის დაწყების კვალდაკვალ, იმავე მიმართულებით გადააადგილებდა ჩარჩო-კონვერტსაც ხმის მთვლელი აპარატის უშუალოდ შესასვლელ ღიობამდე, აღნიშნული კვალი გარეშე თვალისთვის (მათ შორის - ვიდეო-ფიქსაციის აპარატებისთვისაც) აბსოლუტურად უხილავი იქნებოდა”.

მხედველობაშია მისაღები ერთი არსებითი გარემოება. თბილისის სააპელაციო სასამართლოში ექსპერიმენტი ჩაატარეს ცესკოს კვალიფიციურმა თანამშრომლებმა, თანაც ისეთი ფორმით, რომელიც არჩევნებამდე ცესკოს მიერ განსაზღვრულ ინსტრუქციებსა თუ ვიდეორგოლებში ასახული არ ყოფილა. ეს ნათლად იკითხება გადაწყვეტილების ტექსტიდანაც: „აპარატში ბიულეტენის მოძრაობის დაწყების კვალდაკვალ ჩარჩო-კონვერტის გადაადგილება”. ეს არის ის არსებითი ელემენტი, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩნდება. მასზე საუბარი არ ყოფილა არც ცესკოს მიერ დადგენილ ინსტრუქციაში და არც მის მიერვე გავრცელებულ ვიდეორგოლში. თუმცა, გაჩნდა ახალ რგოლში[107] და, ასევე, სასამართლო პროცესზე, პროფესიონალის მიერ სხვა ფორმით ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად.

მოხმობილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ „შეუძლებელი იყო, გარეშე თვალისთვის გამხდარიყო ხილული, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე გააფერადა ამომრჩეველმა, ან საერთოდ გააფერადა თუ

[107] იხ. https://www.youtube.com/watch?v=Tfl95uKePyA, ნანახია: 18.02.2025.

არა რომელიმე წრე, თუკი თვითონ ამომრჩეველი, თავისი გამიზნული ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მის მიერ გაკეთებულ არჩევანს საჯაროს არ გახდიდა".

ბრალის ფორმას, როგორც განზრახვას, ამომრჩევლის ნებელობას, რომ გაამჟღავნოს საკუთარი არჩევანი, რაზეც აპელირებდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოები, სააპელაციო სასამართლომ უხეში გაუფრთხილებლობაც დაამატა, რითაც გააფართოვა ინტერპრეტაციის ფარგლები და გაზარდა ამომრჩეველზე დაკისრებული ტვირთის მოცულობა.

ამომრჩეველთა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ხორციელდებოდა მხოლოდ რეგისტრატორი კომისიის წევრის მიერ. შესაბამისად, ხმის მიცემის დარბაზში მყოფ სხვა პირთა მხრიდან ამომრჩევლის იდენტიფიკაცია, უბანზე ადამიანების რაოდენობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო.

სააპელაციო პალატის მითითებით, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლებოდა კენჭისყრის დღეს ხმის მთვლელ აპარატთან მთელი დღის განმავლობაში ყოფილიყო მხოლოდ ერთი „დაინტერესებული სუბიექტის" წარმომადგენელი, რომელიც შეძლებდა უბანზე მისული თითოეული ამომრჩევლის იდენტიფიცირებას, შემდგომ ბიულეტენის უკანა მხარეს მონიშვნის კვალის კონკრეტულ ლოკაციაზე დაკვირვებას და, იმავდროულად, პროაქტიულად აღნუსხავდა ინფორმაციას, რომელ პოლიტიკურ სუბიექტს დაუჭირა მხარი რამდენიმე ასეულმა თუ ათასმა ამომრჩეველმა.

ამ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ ხმის ფარულობისთვის საფრთხის შესაქმნელად საჭირო არ არის ყველა ამომრჩევლის იდენტიფიცირება. არამედ, თავად ამომრჩეველში შიშის გამოწვევა, რომ შეიძლება ის და მის მიერ გამოხატული ნება აღქმადი ყოფილიყო მესამე პირისთვის, თავისთავად უგულებელყოფდა ხმის ფარულობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპებს.

გარდა ამისა, სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა უბნებზე ვიდეოკამერების განთავსების კანონიერების თაობაზე, თუმცა, მათგან განსხვავებით, დამატებით დასვა შეკითხვა: საარჩევნო უბანზე, ხმის მთვლელი აპარატის ზემოთ ვიდეოკამერის არსებობა გაუჩენდა თუ არა ამომრჩეველს შიშს და ეჭვს, რომ მას აკონტროლებენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმების მაქსიმალური აკუმულირება ერთი კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ რომ მომხდარიყო, ლოგიკურია, თავად ამომრჩეველსაც უნდა ჰქონოდა ინფორმაცია მისი არჩევანის ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შესახებ, რის გამოც, მას აღარ დარჩებოდა სხვა გზა, გარდა იმისა, რომ ხმა მიეცა კონკრეტული საარჩევნო სუბიექტისთვის.

თუმცა, სააპელაციო სასამართლოს არ დაუკონკრეტებია, რაზე დაყრდნობით გამორიცხა, რომ ამომრჩეველთა ნაწილს შეიძლება მართლაც ჰქონოდა მსგავსი ინფორმაცია, ან ამგვარი აღქმა მას გარემოებათა ერთობლიობის საფუძველზე, უშუალოდ ხმის მიცემის პროცესში ჩამოჰყალიბებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პოზიციით, „საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ განხორციელდა თუნდაც ერთი ამომრჩევლის წინასწარი ინფორმირება მის მიერ გამოვლენილი ნების ეფექტიანი კონტროლის არსებობის შესახებ".

სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს არსებული გაფერადებული წრის კვალი არ იძლეოდა იმის დადგენის შესაძლებლობას, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა, ან, საერთოდაც, ხომ არ გაბათილა ბიულეტენი.

სააპელაციო პალატის შეფასებით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად, სხვა გარემოებებთან ერთად, სახეზე უნდა ყოფილიყო შემდეგი პირობა: ხმის მთვლელ აპარატთან მდგომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უშეცდომოდ უნდა შესძლებოდა კონკრეტული ამომრჩევლის ვინაობის დადგენა. ამასთანავე, ის აღჭურვილი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული უნარ-ჩვევებით (უზადო მხედველობის ჩათვლით), რათა საარჩევნო ბიულეტენზე მარკერის კვალის ლოკაციაზე დაკვირვებით, ზუსტად განესაზღვრა, იყო თუ არა გაფერადებული კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის წრე.

ხმის მთვლელი აპარატებიდან, გაურკვეველი მიზეზით, გაფერადებული ბიულეტენების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ, თუ ამგვარი რამ ხდებოდა, მას ექნებოდა მკაცრად საგამონაკლისო ხასიათი, რაც არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა.

სასამართლომ ასევე იმსჯელა საიას წარმომადგენლის მიერ ცესკოში გაგზავნილ წერილზე და დაასკვნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ დაპირება შეასრულა. სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ცესკომ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინა ქაღალდი, რომელიც უფრო სქელია, ვიდრე რეკომენდებული იყო სერვისის მიმწოდებელი კომპანიის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ფაქტებს განიხილავს მოჩვენებით ერთობლიობაში, სინამდვილეში კი, მათ ერთმანეთთან მკაფიოდ არ აკავშირებს. ის მოსარჩელე მხარეს აკისრებს ისეთი გარემოებების მტკიცების ტვირთს, რომლებზეც ამ უკანასკნელს ხელი არ მიუწვდება. სასამართლომ შეფასების სივრციდან სრულად გამორიცხა ჩვეულებრივი, მოწყვლადი ამომრჩევლის ქცევა, რომელზეც მარტივია გავლენის მოხდენა. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება მან არსებითად დააყრდნო იმგვარად ჩატარებულ ექსპერიმენტს, რომელიც საარჩევნო დღეს არსებულ რეალობასთან თანხვედრაში არ ყოფილა.

#### *3.2.3.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები*

თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ წარდგენილი სარჩელები ორ წარმოებად გააერთიანა.[108] საბოლოოდ, აპელანტთა მოთხოვნები არც ამ სასამართლომ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებები უცვლელად დატოვა.

- **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 6 ნოემბრის გადაწყვეტილება[109]**

სააპელაციო სასამართლო სიტყვა-სიტყვით იმეორებს საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებებსა და პირველი ინსტანციის სასამართლოების რამდენიმე

[108] შესაბამისად, მიღებული იყო ორი გადაწყვეტილება: საქმე N3/ბ-436-24, 6/11/2024 და საქმე N3ბ-445-24, 7/11/2024.
[109] საქმე N3/ბ-436-24, 6/11/2024.

გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობას ამომრჩევლის „სწორი" ქცევის სტანდარტზე. სასამართლოს შეფასებით, საარჩევნო ბიულეტენის ჯერ ჩარჩო-კონვერტში და შემდგომ ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში მართებულად მოთავსების შემთხვევაში, გამოირიცხებოდა იმის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ან არ მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, ხმის ფარულობა, როგორც უფლება, მოიაზრებს როგორც იმას, თუ ვის მისცა ხმა, ასევე იმას, თუ ვის არ მისცა ხმა ამომრჩეველმა.

სასამართლო იმეორებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ხშირად გამოყენებულ დასაბუთებას, რომ ფარულობას უზრუნველყოფდა, მათ შორის, ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო კაბინის ფორმა და სახე. ასევე, სასამართლოს აზრით, არ დადასტურდა, რომ კენჭისყრის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულებები - ვიდეო და ფოტო მასალა - ნამდვილად სარჩელებში მითითებულ საარჩევნო უბნებზეა გადაღებული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ აპელანტებმა პირველი ინსტანციის სასამართლოების იმ განჩინებების გაუქმება მოითხოვეს, რომლებითაც უარი ეთქვათ საარჩევნო უბნების ბიულეტენების დათვალიერებაზე. იდენტური შუამდგომლობა იყო წარდგენილი სააპელაციო სტადიაზეც, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს არგუმენტით, როდესაც მოპასუხეები არ გამორიცხავენ ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის მელნის გაჟონვის შესაძლებლობას, გასაჩივრებული განჩინებები სწორია - გამოთხოვნილ ბიულეტენებზე თუნდაც ყოფილიყო გაჟონილი მელნის კვალი, აპრიორი, ეს არ ნიშნავს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას.

წარმოდგენილი დასაბუთებიდან ნათლად იკვეთება, რომ ბიულეტენების გაჟონვის ფაქტს სასამართლოსთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

- **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7 ნოემბრის გადაწყვეტილება**[110]

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების თანახმად, ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალის არსებობა ობიექტური რეალობაა, თუმცა, ამის მიუხედავად, იმ წესების დაცვის შემთხვევაში, რომლებიც ცესკომ განსაზღვრა, ხმის ფარულობა საფრთხის ქვეშ არ დადგებოდა.

ამავე კონტექსტში სასამართლომ მიუთითა ამომრჩევლის ნებელობაზე, მესამე პირთათვის შეცნობადი გაეხადა საკუთარი არჩევანი. ამასთანავე, სასამართლოს განმარტებით, ამომრჩეველზე ზემოქმედება შესაძლებელია მის მიერ ნების გამოვლენამდე და არა - შემდგომ. სხვა სიტყვებით, სასამართლოს მსჯელობით, ამომრჩეველმა წინასწარ არ იცოდა, რომ ამობრუნებულ მდგომარეობაში ბიულეტენს, ცალკეულ შემთხვევაში, მეორე მხრიდან ემჩნეოდა მის მიერ გაკეთებული არჩევანი, არც ის, რომ კონვერტი სრულად არ ფარავდა ბიულეტენს. ამდენად, მისი ხმის ფარულობა ვერ დაირღვეოდა.

ასევე, სასამართლოს შეფასებით, საერთო სასამართლოების სისტემაში საიას მიერ წარდგენილი სარჩელებით ვერ იქნება რეალიზებული შესაბამისი მიზანი, პირიქით, „ამგვარი სარჩელები, შესაძლოა, სამართლებრივი ვაკუუმის და კონსტიტუცი-

[110] საქმე N3ბ-445-24, 7/11/2024.

ური პრინციპების დარღვევის საწინდარი გახდეს, რადგან ყოველთვის შეიძლება იმის დაშვება, რომ სხვადასხვა სასამართლომ და, შესაბამისად, სხვადასხვა ზემდგომმა პალატამ განსხვავებული შედეგი დაადგინოს". სასამართლოს მსჯელობით, მოქმედი კანონმდებლობა ამგვარი საკითხების გადაწყვეტის „ერთადერთ სწორ გზას ითვალისწინებს". ამგვარ ბერკეტად სააპელაციო პალატამ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა მიიჩნია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პალატამ განმარტა, რომ იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ვერ შეაფასებდა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების და ამ აქტების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების პროცესში სახელმწიფოს მიერ თავისი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულების სტანდარტს.

საინტერესოა, რამ განაპირობა ამგვარი შინაარსობრივი განსხვავება ქუთაისის საapელაციო სასამართლოს მიერ 6 და 7 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის: 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლო პრაქტიკულად არ მსჯელობს საკითხზე და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტიტუციად საკონსტიტუციო სასამართლოს ასახელებს.

## 4. დავა ცესკოს წინააღმდეგ

### 4.1. ცესკოში გამართული სხდომა[111]

**2024 წლის 8 ნოემბერს საიამ საჩივრით მიმართა ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების/არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით.[112]**

მრავალსაათიანი განხილვისას უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, ძირითად შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა სამართლებრივ რეგულაციებსა და ფაქტობრივ გარემოებებს. ამის მიუხედავად, სხდომაზე გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო საკითხი: ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი შეფასების თანახმად, „თუკი ამომრჩეველს არ ჰქონდა წარმოდგენა, რომ მის მიერ დაფიქსირებული ხმა უკან გადადიოდა, ადასტურებს იმას, რომ ნების ფორმირება მოხდა თავისუფლად“. ასევე, დეპარტამენტის განმარტებით, საარჩევნო კოდექსის 124-ე მუხლით, ცესკოსთვის სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინების სავალდებულოობა იმთავითვე განსაზღვრულია.

საკითხის განხილვისას ცესკოს წევრმა არჩილ ანასაშვილმა განმარტა, რომ საარჩევნო უბნებზე განთავსებული კამერები პარტია „ქართული ოცნების“ საკუთრება იყო. მისივე თქმით, ეს კამერები 2021 წელს ცესკოს გადაეცა თხოვების ხელშეკრულებით, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიები საიას წარმომადგენლებს სხვა ინფორმაციას აწვდიდნენ.

ცესკოს განკარგულებით,[113] წარდგენილი საჩივრები არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე ინსტანციის სასამართლოში, თუმცა, უშედეგოდ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობაში რთულად მოიძებნება იმისგან განსხვავებული, თუნდაც მცირე, არგუმენტი, რაც მანამდე უკვე არაერთ გადაწყვეტილებაში იყო მითითებული.[114]

სასამართლო ამ გადაწყვეტილებაშიც აპელირებს ამომრჩევლის სწორი ქცევის სტანდარტზე. გარდა ამისა, ამ შემთხვევაშიც, მან ცესკოს პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი პროცედურებით შემოფარგლა.

შესაბამისად, სასამართლომ, სრულებით ფორმალიზებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ამჯერადაც უარი თქვა წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ უარი განაცხადა საიას მიერ წარდგენილი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო:

- ბიულეტენების დათვალიერება მათი განთავსების ადგილზე;
- 2024 წლის 26 ოქტომბერს გამართულ არჩევნებზე გამოყენებული მარკერების შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტების და ნიმუშების გამოთხოვნა;
- ვიდეოკამერების თხოვების ხელშეკრულების წარმოდგენა.

---

[111] იხ. https://www.youtube.com/watch?v=ahZbopjCRJ8, ნანახია: 18.02.2025.

[112] მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ (საჩივრის რეგისტრაციის N5091) და მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ (საჩივრის რეგისტრაციის N5093) საჩივრებით მიმართეს ცესკოს (მათ მიერ წარდგენილი საჩივრებიც საიას მიერ წარდგენილ საჩივართან ერთად განიხილებოდა).

[113] განკარგულება N340/2024, 10/11/2024.

[114] საქმე N3ბ/3579-24, 22/11/24

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საიას მიერ გასაჩივრებული ცესკოს განკარგულება მიღებულია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევის, ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,[115] ამდენად, უარი თქვა წარდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, 2024 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე ცესკომ შეაჯამა 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები და შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი გამოსცა.[116]

[115] საქმე N3ბ/3476-24, 15/11/2024.

[116] მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოს უნდა შეეფასებინა ცესკოს 2024 წლის 10 ნოემბრის N340/2024 განკარგულების კანონიერება, შესაბამისად, უნდა განესაზღვრა, არსებობდა თუ არა აპელანტების (მოსარჩელეების) მიერ მითითებული საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების და ამ ოლქებში შემავალი ელექტრონული/ტექნოლოგიური უბნების შედეგების ბათილად ცნობის, ასევე, ცესკოსთვის ხელახალი არჩევნების დანიშვნის დავალების საფუძველი.

## 5. დავა საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმის კანონიერებაზე

ხმის ფარულობაზე დავის მომდევნო, მესამე ეტაპი, სწორედ ცესკოს მიერ 2024 წლის 16 ნოემბერს მიღებული საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო. ამ შემთხვევაშიც, ორივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით აქტი ძალაში დარჩა.[117] ამავე ნაწილში სასამართლომ მიუთითა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალაზე.

სააპელაციო პალატამ ერთდროულად იმსჯელა სააპელაციო მოთხოვნასა და სააპელაციო საჩივრით წარდგენილ სხვა შუამდგომლობებზე, მათ შორის, დროებითი განჩინების მიზანშეწონილობაზე და, იმაზე მითითებით, რომ არ კმაყოფილდებოდა ძირითადი მოთხოვნა, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზეც უარი განაცხადა.

[117] საქმეები: N3-8699-24, 19/11/2024 და N3ბ/3579-24, 22/11/2024.

## 6. პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების კონსტიტუციური სარჩელების განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში

### 6.1. პრეზიდენტის სარჩელის შინაარსი

2024 წლის 20 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც სალომე ზურაბიშვილი ასაჩივრებდა სხვა ქვეყნებში საარჩევნო უბნების გახსნის,[118] ასევე, იქ მცხოვრები და საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი პირების სპეციალურ სიაში შეყვანის საკითხებს. [119] გარდა ამისა, გასაჩივრებული იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტები[120] და ამ ნორმების შესაბამისობა კონსტიტუციის მე-3 მუხლით აღიარებულ დემოკრატიის პრინციპთან, კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულ საარჩევნო უფლებასა და საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს პარლამენტის არჩევის საყოველთაო და თანასწორობის პრინციპთან. ამ ნაწილში დავის საგანი იყო ის, რომ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები არ იქმნებოდა იქ მცხოვრები ამომრჩევლების საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს.

საქართველოს პრეზიდენტი ასევე ასაჩივრებდა საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლს (ხმის მიცემის ფარულობა) $76^5$ (საარჩევნო ბიულეტენის ფორმა) და 63-ე მუხლის პირველ პუნქტს (საარჩევნო ბიულეტენის ბეჭდვა სახელმწიფო ენაზე). ასევე, დავის საგანი იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ N7/2023 დადგენილების ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესს და მის ტექსტს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის განკარგულებას და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის „დ“, „დ.ა“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტებს (კენჭისყრის ფარულობის პრინციპი). პრეზიდენტის მტკიცებით, ეს ნორმები ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-3 მუხლით აღიარებულ დემოკრატიის პრინციპს, კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ საარჩევნო უფლებას და კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ფარულობის პრინციპს. პრეზიდენტი ასაჩივრებდა საარჩევნო კოდექსის 131-ე მუხლს და ითხოვდა ცესკოს მიერ პარლამენტის წევრებისთვის მანდატების გადაცემის აკრძალვას. ასევე, დავის საგანი იყო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, ცესკოს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრისა და უსკოს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

პრეზიდენტის სარჩელში არჩევნებში მონაწილეობის საყოველთაობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3000

[118] საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[119] საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[120] 2024 წლის 11 ოქტომბრის N51/2024 დადგენილება „ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნის შექმნის დამატებითი ვადისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“, ასევე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის N191/2024 განკარგულება „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ“.

ამომრჩევლისთვის. პრეზიდენტის თქმით, ცესკო ვალდებულია, საარჩევნო უბანი შექმნას საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქის საცხოვრებელ სახლთან ახლოს, როცა ამ დასახლებულ პუნქტში ამომრჩევლების რაოდენობა, სულ მცირე, 50-ია. თუ დასახლებულ პუნქტში ამომრჩევლების რაოდენობა აღემატება 3000-ს, ცესკო ვალდებულია, შექმნას რამდენიმე საარჩევნო უბანი. პრეზიდენტის მტკიცებით, ამ ნორმით, ცესკოს არავითარი დისკრეცია არ ენიჭება. ამის მიუხედავად, ის თავის სარჩელში მიუთითებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 სექტემბრის N3/7245-24 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას ჰქონდა დისკრეცია, განესაზღვრა, სად რამდენი უბანი გაეხსნა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ საქმეზე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ ცესკო ვალდებული იყო, გაეხსნა საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები ყველგან, სადაც 50-ზე მეტი საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე ცხოვრებდა. სწორედ ამ ნორმატიულ შინაარსზე დაყრდნობით დავობდა პრეზიდენტი ამ ნაწილში. საერთო სასამართლოებმა დაუშვეს, რომ ცესკოს საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები გაეხსნა ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლად. პრეზიდენტის მტკიცებით, ამით მათ მოესპოთ საარჩევნო უბნებზე წვდომის შესაძლებლობა. აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის ამომრჩეველს უწევდა რამდენიმე ათეული ათასი კილომეტრის გავლა (მაგალითად, ალაბამაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ხმის მისაცემად საკმაოდ შორს - ნიუ-იორკში უნდა ჩასულიყო). პრეზიდენტი არ დაეთანხმა ცესკოს მიდგომას, რომლის მიხედვითაც, საზღვარგარეთ საარჩევნო უბანი უნდა გაიხსნას იმ ქალაქში, სადაც განთავსებულია საქართველოს მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა. სწორედ ამის გამო, ამომრჩეველს უწევდა ასობით კილომეტრის გავლა ხმის მისაცემად, გარდა ამისა, საარჩევნო უბნის სიშორის მიზეზით, ყველა მათგანმა ვერ შეძლო საარჩევნო უფლებით სარგებლობა, რითაც დაირღვა საყოველთაობის პრინციპი. ამასთანავე, ის პირები, რომლებიც არ ცხოვრობდნენ ქალაქში, სადაც საქართველოს მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა იყო განთავსებული, ამ ქალაქებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ.

პრეზიდენტი ასევე ამტკიცებდა, რომ კენჭისყრის დროს დაირღვა ფარულობის პრინციპი. მისი თქმით, მარკერი გადადიოდა ბიულეტენის უკანა მხარეს, რის გამოც, ხმის მთვლელ აპარატში მისი მოთავსებისას, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისთვის, რომელსაც აპარატზე ზედამხედველობა ეკისრებოდა, აღქმადი იყო, ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოყენებული იყო ცესკოს მიერ შესყიდული ერთი და იმავე ხარისხის ბიულეტენი. ჩარჩო-კონვერტიდან ხმის მთვლელ აპარატში მისი შეცურებისას, გარეშე პირისთვის ადვილად აღსაქმელი იყო მინიმუმ ის, ვის არ მისცა ხმა ამომრჩეველმა - მმართველ პარტიას თუ ოპოზიციას. ბიულეტენის უკან დაბრუნების შემთხვევაში კი, სრულიად გარკვევით ჩანდა, რომელი სუბიექტის წინ არსებული წრე გააფერადა მან. შესაბამისად, დაირღვა ფარულობის პრინციპი. ამ ფაქტს ამძაფრებდა ისიც, რომ საარჩევნო უბნის გახსნისას დაამონტაჟეს კამერები, რომლებიც ხმის მთვლელ აპარატს უყურებდა.

საქართველოს პრეზიდენტი ითხოვდა სადავო ნორმების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ამომრჩეველს აკისრებდა მის მიერ მიცემული ხმის ფარულობის დაცვის მთელ ტვირთს, ამასთანავე, უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ გარეშე პირებისთვის აღქმადი ყოფილიყო, ვის არ მისცა ხმა ამომრჩეველმა.

პრეზიდენტის მტკიცებით, მარკერის გაჟონვამ ამომრჩეველს მასობრივად გაუჩინა იმის განცდა, რომ მათი არჩევანი ფარული არ იქნებოდა. ამის გამო, ისინი ან არ მივიდნენ საარჩევნო უბანზე, ან შეცვალეს თავიანთი პოზიცია და, ოპოზიციური სუბიექტის ნაცვლად, ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს. იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმა უნდა მიეცა ამომრჩევლების 90%-ს, ამასთანავე, ყველა უბანზე იყო ერთი და იმავე ხარისხის ბიულეტენი, ხოლო მარკერი ყველგან ჟონავდა, ფარულობის დარღვევამ, ამომრჩევლის ნებაზე მანიპულირების გამო, გამოიწვია პარტიების მიერ მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება. რაც შეეხება საყოველთაობისა და თანასწორობის დარღვევას, საზღვარგარეთ საარჩევნო სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა, დაახლოებით, 96 ათასს შეადგენდა. აქედან, დაახლოებით, 2/3-მა (60 000-ზე მეტმა) ვერ შეძლო არჩევნებში მონაწილეობა, ვინაიდან საარჩევნო უბნები მათი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით გაიხსნა. პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ საყოველთაობის, თანასწორობის და ფარულობის დარღვევამ გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე. შესაბამისად, ის ითხოვდა საარჩევნო ნორმების ძალადაკარგულად ცნობას და, ამის საფუძველზე, ჩატარებული არჩევნების შედეგების ბათილად გამოცხადებას.

### 6.2. პარლამენტის 30 წევრის სარჩელი

2024 წლის 20 ნოემბერს საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილება გამოიყენა პარლამენტის 30-მა წევრმა და საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა საარჩევნო კანონმდებლობა, ასევე, ამ კანონმდებლობით ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები. მათ მიერ გასაჩივრებული ნორმები, ძირითადად, ემთხვეოდა იმ დებულებებს, რომლებზეც პრეზიდენტი დავობდა. დამატებით, პარლამენტარებს გასაჩივრებული ჰქონდათ საარჩევნო კოდექსის 131-ე მუხლის (საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების გასაჩივრება) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სასამართლოს არ აძლევს უფლებამოსილებას, შეაჩეროს საქმის განხილვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164 (3) მუხლით საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებისას.

პარლამენტის წევრები მიუთითებდნენ, რომ დარღვევებმა, რომლებსაც ისინი ასაჩივრებდნენ, თავი იჩინა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე და კენჭისყრის დღემდე შეუძლებელი იყო მათი წინასწარ განჭვრეტა. შესაბამისად, 2022 წლის 4 ნოემბრის №3/6/1392 განჩინებით დადგენილი სტანდარტის მიხედვით, გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა, რომელიც კრძალავს არჩევნების ჩატარების წელს და არჩევნებამდე 15 თვის განმავლობაში საარჩევნო კანონმდებლობის არაკონსტიტუციურად ცნობას. პარლამენტარების განმარტებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ფარულობის უზრუნველყოფა იყო სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. საარჩევნო ადმინისტრაციამ და საერთო სასამართლოებმა ამ ვალდებულების შინაარსი შეცვალეს 2024 წლის 26 ოქტომბერს და შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებებით. საარჩევნო ადმინისტრაციამ და საერთო სასამართლოებმა ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველყოფის ტვირთი საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ამომრჩეველზე გადაიტანეს. ამის განჭვრეტა კი საპარლამენტო არჩევნებამდე 15 თვით ადრე შეუძლებელი იყო.

### 6.3. საიას სასამართლო მეგობრის მოსაზრება

2024 წლის 22 ნოემბერს საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება პრეზიდენტის სარჩელთან დაკავშირებით. საიას შეფასებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამომრჩევლის ხმის ფარულობის სისტემური დაცვა. სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საარჩევნო უფლების ხმის ფარულობის ნაწილს ისეთი ნორმატიული შინაარსი მიანიჭა, რომელიც არსებითად აზიანებდა არჩევნების მთლიანობას და არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ საარჩევნო პრინციპებს. ხმის ფარულობა ამომრჩეველს იცავს ისეთი საფრთხისგან, რომელმაც, შესაძლოა, ზემოქმედება მოახდინოს მის არჩევანზე და შეზღუდოს იგი. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფს პირის მიერ როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სასიკეთოდ, ასევე, სხვა პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ გაკეთებული არჩევანის ფარულობას. ეს პრინციპი იცავს ამომრჩევლის ავტონომიურობას. იმავდროულად, ის არა მხოლოდ პროცედურულ დაცვას სთავაზობს მას, არამედ არის დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობაში ჩართულობის აუცილებელი კომპონენტი.

არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანომ არჩევნების ორგანიზება იმგვარად უნდა შეძლოს, რომ ამომრჩეველს არ დასჭირდეს საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინსტრუქციისგან განსხვავებული, დამატებითი, ინდივიდუალური ძალისხმევის გაწევა ან განსაკუთრებული ზომების მიღება საკუთარი არჩევანის კონფიდენციალურობის დასაცავად. ხმის ფარულობის მასშტაბური დარღვევა, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც არჩევნებზე ისეთი ფუნდამენტური ზეგავლენა, რომელსაც შეეძლო კანდიდატების მიერ მოპოვებული ხმების პროცენტული მაჩვენებლების მოდიფიცირება და ამით არჩევნების საბოლოო შედეგის შეცვლა. იმ შემთხვევაში, როდესაც კენჭისყრის პროცესში ხმის ფარულობასთან დაკავშირებული პრობლემები კომპლექსური და მძიმეა, რაც მნიშვნელოვნად არყევს დემოკრატიისადმი მოსახლეობის ნდობას, საკონსტიტუციო სასამართლომ, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის დადგენასთან ერთად, უნდა შეაფასოს ამ ნორმების გავლენა ჩატარებული არჩევნების შედეგებზე.

საყოველთაობის პრინციპის ჭრილში საია იზიარებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პოზიციას, რომ, თუ სახელმწიფო ირჩევს იმ მოდელს, რომლითაც უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებს აქვთ ეროვნულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაშინ მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა განსაზღვროს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, გასახსნელი უბნები და მათი ლოკაციები. საქართველომ ეს სტანდარტი დაარღვია და ვერ უზრუნველყო შესაბამისი უბნების გახსნა იმ ამომრჩევლებთან ახლოს, რომლებსაც სურდათ არჩევნებში მონაწილეობა.

### 6.4. შემაჯამებელი ოქმების შეჩერების შესაძლებლობა

2024 წლის 29 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც არსებითად განსახილველად არ მიიღო პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების სარჩელები. განჩინება 2024 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა.[121] მისი მიღებისა და გამოქვეყნების დროს უკვე შეკრებილი იყო 2024 წლის 26 ოქტომბერს

[121] საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის განჩინება საქმეზე N3/7/1848,1849, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17525.

არჩეულად გამოცხადებული პარლამენტი, ხოლო ამ არჩევნებით დეპუტატებად გამოცხადებულ პირებს მინიჭებული ჰქონდათ შესაბამისი უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს რომც მიეღო სარჩელები არსებითად განსახილველად, დაეკმაყოფილებინა ისინი და ბათილად ეცნო არჩევნების შედეგები, ეს არ გამოიწვევდა პარლამენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას - სარჩელები მას პარლამენტის შეკრებამდე უნდა დაეკმაყოფილებინა.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებამ, შესაძლებელია, ერთ-ერთი მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს, მას შეუძლია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით, შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება. სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში საია სწორედ ცესკოს შემაჯამებელი ოქმის მოქმედების შეჩერებას ითხოვდა, რათა დროებით შეწყვეტილიყო მისი გამოცემიდან პარლამენტის შეკრების 10-დღიანი ვადის დინება. ვინაიდან შემაჯამებელი ოქმი არის ინდივიდუალური და არა ნორმატიული აქტი, ხოლო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს ნორმატიული და არა ინდივიდუალური აქტის შეჩერების შესაძლებლობას, საია, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, ითხოვდა ამ ნორმის ფართოდ განმარტებას და მისი ანალოგის - ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შეჩერებას. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული პარლამენტის შეკრებით გამოწვეული გამოუსწორებელი ზიანი.

სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებაში საია საკონსტიტუციო სასამართლოს სთხოვდა, საკუთარი ინიციატივით შეეჩერებინა ცესკოს შემაჯამებელი ოქმის მოქმედება, ვინაიდან არც პრეზიდენტის და არც პარლამენტის წევრების სარჩელები ამგვარ მოთხოვნას არ შეიცავდა. გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტი ასაჩივრებდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 131-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, „არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ". პრეზიდენტის პოზიციით, თუ ცესკოს აეკრძალებოდა პარლამენტის წევრებზე მოწმობების გაცემა, ამით თავიდან იქნებოდა აცილებული პარლამენტის შეკრება, ვინაიდან უფლებამოსილების ცნობის შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა პარლამენტის დაშლა, მაშინაც კი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებს არაკონსტიტუციურად გამოაცხადებდა.

პრეზიდენტის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 131-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იყო გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილების საშუალება, არამედ ამ მექანიზმს ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა. კონკრეტულად, თუ მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ პარლამენტის შეკრება გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს, **მას შეუძლია, მოითხოვოს, მათ შორის, არჩევნების შემაჯამებელი ოქმის მოქმედების შეჩერება".**

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა საიას მოსაზრება, ფართოდ განემარტა ნორმა[122] ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის - შემაჯამებელი ოქმის შეჩერების შესაძლებლობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს

[122] „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

უმრავლესობის პოზიციით, არ არსებობდა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საფუძველი.

### 6.5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნაზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების სარჩელები ყველა ნაწილში დაუშვებლად ცნო. სხვა ქვეყნებში საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებით კი, დაუსაბუთებლობის მოტივით, ისინი არსებითად განსახილველად არ მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ყველა ქვეყანაში ვერ შეიქმნებოდა კვალიფიციური საარჩევნო კომისია, რომელიც დაკომპლექტდებოდა, მათ შორის, პარტიების მიერ დანიშნული წევრებით, რომლებიც შეძლებდნენ, კანონით დადგენილი წესით ჩაეტარებინათ არჩევნები. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საზღვარგარეთ, ამა თუ იმ მოქალაქეთა ფაქტობრივ საცხოვრებელთან ახლოს, არასათანადოდ ორგანიზებული უბნის ფორმალურად გახსნა ვერ იქნება კონსტიტუციით დაცული საარჩევნო უფლების მოთხოვნა. უბნის გახსნასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ უბანზე არჩევნების სათანადოდ ორგანიზება და მოქალაქეთა მიერ არჩევანის თავისუფალ გარემოში გაკეთების შესაძლებლობა".

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნის გახსნა და არჩევნების სათანადოდ ორგანიზება, ბუნებრივია, დაკავშირებულია მნიშვნელოვან ტექნიკურ და, რაც მთავარია, ადამიანურ რესურსებთან. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხერხდეს სათანადო შენობის მოძებნა, რომელშიც შესაძლებელი იქნება საარჩევნო უბნის მოწყობა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, დაკომპლექტდეს და გადამზადდეს საარჩევნო კომისია, რათა არჩევნები სათანადოდ ჩატარდეს. ამავე დროს, საქართველოს საარჩევნო კოდექსი კომისიის დაკომპლექტებისას ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების ჩართულობას. საარჩევნო კომისიის შემადგენლობის უმრავლესობას ნიშნავენ საარჩევნო სუბიექტები, შესაბამისად, ამ ადამიანური რესურსის მობილიზება უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ პოლიტიკურმა პარტიებმაც.

პირველ ყოვლისა, საკონსტიტუციო სასამართლომ სათანადო წონა არ მიანიჭა საცხოვრებელი ადგილის როლს აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელების პროცესში. როდესაც საარჩევნო უბანი ამომრჩევლის საცხოვრებლიდან ათასობით კილომეტრითაა დაშორებული, იქ მოსახვედრად საჭიროა დიდი დანახარჯების გაწევა, რისი საშუალებაც, შესაძლოა, ამომრჩეველს არ ჰქონდეს. ასეთ ამომრჩეველთან საარჩევნო უბნის გაუხსნელობა, დე ფაქტო, საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევას უნდა გაუთანაბრდეს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ზოგ შემთხვევაში, ამ დანახარჯების გაწევის მზაობის მიუხედავად, შესაბამის ქვეყანაში საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის გამო, შეუძლებელი იყოს იმ ქალაქში მოხვედრა, სადაც საარჩევნო უბანი იხსნება. ამგვარი შემთხვევაც უნდა გაუთანაბრდეს მოქალაქისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „რომელიმე ჯგუფის ან მთელი მოსახლეობის განსაზღვრული კატეგორიის გამორიცხვა საარჩევნო პროცესიდან უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ფუძემდებლურ პრინციპს, მათ შორის, არჩევნების საყოველთაობას. ამ სტანდარტიდან დაუსაბუთებელი გადახვევა საფრთხეს უქმნის მისი დარღვევით არჩეული საკანონმდებლო ორგანოსა და ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონების

ლეგიტიმურობას”. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ნებისმიერ საარჩევნო სისტემაში ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსი, მისცეს ხმა. იმავდროულად, არცერთი ელექტრონული სისტემით არ არის გარანტირებული, რომ ყველა ხმას ექნება თანაბარი წონა არჩევნების შედეგთან მიმართებით. ყველაზე მნიშვნელოვანია, საარჩევნო უფლების განხორციელებისას ყველა მოქალაქეს მოეპყრონ თანაბრად. ლოგიკურად, შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, რა გავლენას მოახდენდა არჩევნების შედეგებზე იმ ამომრჩევლის დაკარგული ხმა, რომელმაც ვერ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

იმ ქალაქებში საარჩევნო უბნების გახსნის საწინააღმდეგოდ, სადაც არ მდებარეობდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს არ დაუსახელებია რაიმე ისეთი გადაულახავი სირთულე, რომელიც გაამართლებდა არჩევნების საყოველთაობის პრინციპიდან გადახვევას, საქართველოს მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის უფლების დე ფაქტო ჩამორთმევას და, ამის შედეგად, არჩეული პარლამენტის ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. 15 დამატებითი უბნის გახსნა იმ ქალაქებში, სადაც არ მდებარეობს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, მაგრამ ამომრჩევლის რაოდენობა 50 ან მეტია, რისკის წინაშე არ აყენებდა ქვეყნის ფისკალურ უსაფრთხოებას, სრულებით შესაძლებელი იყო ამის გაკეთება ადამიანური რესურსების თვალსაზრისითაც და, იმავდროულად, ემსახურებოდა არჩევნების საყოველთაობის, თანასწორობის უფლების რეალიზებას. საკონსტიტუციო სასამართლოს საპირისპირო არგუმენტები ზედაპირული და დაუსაბუთებელია.

### 6.6. ხმის მიცემის ფარულობა და საერთო სასამართლოების მიერ კანონის ნორმატიული შინაარსის დადგენის შესაძლებლობა

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო სარჩელები ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ნაწილშიც. მისი განმარტებით: „სადავო ნორმები განსხვავებული შინაარსისაა. ისინი, ერთი მხრივ, მიუთითებენ ხმის მიცემის ფარულობის დაცვის აუცილებლობაზე, საარჩევნო ბიულეტენის ფორმის, ტექსტის, შევსების წესზე, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის სახეების განსაზღვრის უფლებამოსილების ცესკოსთვის/უსკოსთვის მინიჭებაზე. ამავე დროს, სადავოდაა გამხდარი ცესკოს აქტები კენჭისყრის პროცედურის განსაზღვრის შესახებ. არცერთი ზემოთ ხსენებული ნორმა არ მიუთითებს, რომ არჩევნების პროცესში, რაიმე ფორმით, დასაშვებია ხმის მიცემის ფარულობიდან გადახვევა ან/და ბიულეტენის/მარკერის იმ ფორმით შერჩევა, რომ არჩევანის გაკეთების შემდეგ იგი აღქმადი იყოს ბიულეტენის ორივე მხრიდან. აღნიშნულის საპირისპიროდ, სადავო ნორმები პირდაპირ მიუთითებს ფარულობის დაცვის აუცილებლობაზე და მათი როგორც შინაარსი, ასევე სულისკვეთება აშკარად მიმართულია კენჭისყრის ჩატარებისას ფარულობის უზრუნველყოფისკენ”.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ფარულობის დარღვევა გამომდინარეობს არა სადავო ნორმებიდან, არამედ საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებიდან, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი საკითხი არ არის: „სადავო ნორმების კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის დასასაბუთებლად, მოსარჩელე ვალდებულია, წარმოაჩინოს, რომ იდენტიფიცირებული პრობლემა მომდინარეობს სადავო ნორმებიდან, წარმოადგენს მათი მოქმედების და არა საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის შედეგს. კერძოდ, მან უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმები ადგენდა ბიულეტენის ან/და მარკერის მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული

ფორმით შექმნისა და გამოყენების წესს, სადავო ნორმების საფუძველზე მოწესრიგებული კენჭისყრის ჩატარება, ფარულობის დაცვით, შეუძლებელია ან/და სახეზეა ისეთი გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის სათანადო ქცევის პირობებში ამ ნორმების საფუძველზე საარჩევნო პროცესის წარმართვა ხმის ფარულობის დარღვევას გამოიწვევდა. ვინაიდან კონსტიტუციური სარჩელებიდან არ იკვეთება არცერთი არგუმენტი, რომელიც მიუთითებს ხმის ფარულობასთან დაკავშირებით სადავო ნორმებიდან მომდინარე პრობლემაზე, შესაბამისად აშკარაა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა მიემართება საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებებს (ბიულეტენის ან/და მარკერის შერჩევას) და არა თავად სადავო ნორმების შინაარსს".

„საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მითითებული სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსი ან ცხადად უნდა გამომდინარეობდეს სადავო ნორმის ტექსტიდან ან/და ამას უნდა ადასტურებდეს სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტება. საერთო სასამართლოების განმარტებებს დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა. თუმცა, ამ ზოგადი წესიდან შეიძლება რამდენიმე გამონაკლისი არსებობდეს, მათ შორის, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დარწმუნდება, რომ ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები წინააღმდეგობრივია. ასეთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, რომ საერთო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის შინაარსი საბოლოოდ განისაზღვრა. ნორმის განმარტების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, შესაძლოა, ასევე ნორმის ბუნდოვანებასა და მის არაკონსტიტუციურობაზეც მიუთითებდეს. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ასევე უფლებამოსილია, არ მიიღოს საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, თუ ის აშკარად არაგონივრულია".

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული ნორმები ითვალისწინებს ფარულობის უზრუნველყოფის გარანტიებს და სიტყვასიტყვით არ შეიცავს მისი დარღვევის შესაძლებლობას, საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ ეს ნორმები კონსტიტუციური კონტროლის მიღმა დარჩენილიყო. ნორმა, შესაძლოა, თავისთავად, სრულიად კონსტიტუციური იყოს, მაგრამ საერთო სასამართლოებმა მას მიანიჭონ კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმატიული შინაარსი.

ის, რომ პრეზიდენტის და პარლამენტის წევრების მიერ გასაჩივრებული ნორმა, სიტყვასიტყვით, ადგენდა ხმის მიცემის ფარულობის გარანტიას, არ ნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკაში მათ არ მიიღეს ფარულობის საწინააღმდეგო შინაარსი. მეტიც, საქართველოს პრეზიდენტმა თავის სარჩელში მიუთითა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე (საქმე N3/638-24) და განმარტა, რომ სასამართლომ, სადავო ნორმებზე დაყრდნობით, ხმის მიცემის ფარულობაზე პასუხისმგებლობა დააკისრა ამომრჩეველს (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შეფასებით: „თუ ამომრჩეველი ახლოს იქნება განთავსებული აპარატის მიმღებთან, სრულად გამოირიცხება ბიულეტენზე რაიმეს გარჩევის შესაძლებლობა"). ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტის მიერ გასაჩივრებულ ნორმას სწორედ ის ნორმატიული შინაარსი ჰქონდა, რაც მას ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიანიჭა. ნორმის ამგვარი წაკითხვა არაგონივრული ვერ იქნებოდა, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომაც, რომელსაც ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების იურისდიქცია ჰქონდა.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ საერთო სასამართლოებმა, სწორედ პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების მიერ გასაჩივრებული ნორმების საფუძველზე, კანონიერად მიიჩნიეს საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებები, არასწორია საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა მიემართება საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებებს (ბიულეტენის ან/და მარკერის შერჩევას) და არა თავად სადავო ნორმების შინაარსს. ვინაიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ იმოქმედა სადავო ნორმის იმგვარი შინაარსით, რომელიც შემდგომში საერთო სასამართლოებმა დააკანონეს, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია იყო, არსებითი განხილვის ფორმატში შეეფასებინა ეს შინაარსი, რაც მას არ გაუკეთებია. ეს კი საარჩევნო კანონმდებლობასა და ამ კანონმდებლობით ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმის ტოლფასია.

ამ საქმეზე ორი განსხვავებული მოსაზრება დაიწერა მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშისა და გიორგი კვერენჩხილაძის მიერ.[123]

მოსამართლე თეიმურაზ ტუღუშმა მიიჩნია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული არგუმენტაცია და მტკიცებულებები და სარჩელები განსახილველად არ მიიღო სათანადო დასაბუთების გარეშე. მოპასუხე მხარესთან კითხვაც კი არ დასმულა იმასთან დაკავშირებით, რით იყო ნაკარნახევი მოსარჩელეთა მიერ მითითებული პრობლემები. ჩემი შეთავაზების საწინააღმდეგოდ, საქმის განხილვა მოხდა ზეპირი მოსმენის გარეშე, მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ჩარჩო, ისევე, როგორც საქმის პრაქტიკული ასპექტები, იძლეოდა მისი ფორსირების გარეშე, ზეპირი განხილვით, სათანადო გამოკვლევის შედეგად, გადაწყვეტის შესაძლებლობას“.

მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციურ სარჩელებში წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები და არგუმენტაცია, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენდა კანონმდებლობიდან მომდინარე კონსტიტუციური უფლებების დარღვევის რისკებს. ამავე დროს, კონსტიტუციურ სარჩელებში დასმული საკითხები იდენტიფიცირებული იყო იმდენად ცხადად, რომ მათი აღქმა რთული არ უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტების, არამედ ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლისთვის. სასამართლოს, უბრალოდ, უნდა დაენახა და შინაარსობრივად შეეფასებინა სარჩელებში წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები, რაც მან არ გააკეთა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად უარი თქვა კონსტიტუციური კონტროლის, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული შეკავებისა და ბალანსის სისტემაში მისი იმანენტური ფუნქციის განხორციელებაზე.

მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძე ასევე არ დაეთანხმა პლენუმის გადაწყვეტილებას და არჩევნების საყოველთაობის საკითხზე აღნიშნა: „წარმოდგენილი სასარჩელო არგუმენტაცია და მტკიცებულებები სათანადოდ ასაბუთებდა გასაჩივრებული ნორმებიდან მომდინარე პრობლემას, შესაბამისი კონსტიტუციური დებულებების შეზღუდვას და სადავო მოწესრიგების შესაძლო არაკონსტიტუციურობას, რაც საკმარისი იყო კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მისაღებად. მიუხედავად ამისა, ჩემმა კოლეგებმა, ფაქტობრივად, განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში შეაფასეს სადავო წესების კონსტიტუციურობა, რელევანტური საკითხების აბსოლუტური უმრავლესობის გამოკვლევის გარეშე და სხვა სახელმწიფოში,

[123] თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული მოსაზრება, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17546; გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული მოსაზრება, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17547.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის არმქონე დასახლებებში, საარჩევნო უბნების გასახსნელად სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიების შესაბამისი რესურსის მობილიზების გონივრული შესაძლებლობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეს გადააკისრეს“.

## 7. რეკომენდაციები

საარჩევნო დავების წარმართვა სამართლიანი განხილვის სტანდარტის დაცვით აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ამ პროცესის მიმართ ნდობა არსებობდეს. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული დავების განხილვის სტანდარტები ამ პრინციპს ვერ უზრუნველყოფდა. წარდგენილ საჩივრებთან მიმართებით, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე სასამართლოს ეტაპზე, გადაწყვეტილებები მიიღებოდა განსახილველი საკითხის სრულყოფილად შესწავლის გარეშე, შესაბამისად, ისინი ვერ აკმაყოფილებდა დასაბუთების სტანდარტს. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის მოდელზე გადასვლის მიუხედავად, არაერთი არსებული პრობლემა ვერ აღმოიფხვრა, უფრო მეტიც, მათ სხვა ახალი პრობლემები დაემატა. კვლავაც აქტუალურია გამოწვევები საჩივრების/სარჩელების განხილვის სტანდარტთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციისა და საერთო სასამართლოების მხრიდან.[124]

**საარჩევნო ადმინისტრაციას:**

- აღმოიფხვრას საჩივრის ფორმალურად განხილვის პრაქტიკა და გაზარდოს მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი;
- უფლებამოსილმა ორგანოებმა წარდგენილი დოკუმენტაცია გამოიკვლიონ სრულად. საჩივრების განხილვის შედეგად გადაწყვეტილებების მიღებისას არ დაეყრდნონ მხოლოდ დარღვევაში მხილებული პირების ახსნა-განმარტებებს;
- შეიცვალოს პრაქტიკა საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო, სახელოვნებო დაწესებულებებისა, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა) თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების, ასევე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თანამშრომლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მხრიდან სამუშაო საათების ან/და უშუალოდ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში აგიტაციის შემთხვევების იდენტიფიცირებაზე და ამგვარი ქმედება შეფასდეს დარღვევად იმის მიუხედავად, პირი ამ პროცესში იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს თუ არა;
- კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერ შეხვედრაზე იმ პირების დასწრება, რომლებსაც ეკრძალებათ აგიტაციის გაწევა ან მასში მონაწილეობა, საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან შეფასდეს აგიტაციაში მონაწილეობად, იმის მიუხედავად, პირი  თავისი მოქმედებით ხელს უწყობს თუ პირიქით - ხელს უშლის კანდიდატის არჩევას;
- წინასაარჩევნო აგიტაციად ჩაითვალოს ღონისძიება, რომელიც, შინაარსობრივად, ხელს უწყობს ან/და ხელს უშლის კონკრეტული პირის არჩევას,

[124] იხ. საიას ანგარიში „საარჩევნო დავების ანალიზი (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, პირველი და მეორე ტური), ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/საარჩევნო%20დავების%20ანალიზი.pdf_01722854919.pdf, ნანახია: 25.02.2025.

იმის მიუხედავად, გაცხადებულია თუ არა, რომ ის კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად ტარდება.

**საერთო სასამართლოებს:**

- გაიზარდოს სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი, დამკვიდრდეს ერთგვაროვანი, კანონის მიზანთან შესაბამისი პრაქტიკა;
- სათანადოდ გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის;
- სასამართლომ მოსარჩელეებს მისცეს შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა;
- სააპელაციო სასამართლოებმა საქმეები განიხილონ ზეპირი მოსმენით;
- საქმეები გაერთიანდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფრო ეფექტიანი იქნება სარჩელების შინაარსის გათვალისწინებით.